# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 5 აგვისტო, 2015 წელი.

№145 (7790)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუნთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.


◎ სარედაქციო ფოსტიდან

## რა არ ხდება ამ ცოდვილ დედამიწაზე!

# კაცს ინტელექტუალურ დუელში თუ იწვევ, უწინარესად, თავად უნდა გქონდეს ინტელექტი...

**რაც, ალბათ, ისევე ძნელი აღმოსაჩენია „ლიტერატურული საქართველოს“ ბოლო, საზაფხულო ნომრის ფურცლებზე ახალგამოჩეკილი (თუ ძალად გამომცხვარი!) ვინმე კანანაძე დიმიტრის თავში, როგორც დედამიწის რომელსამე უახლოეს პლანეტაზე სიცოცხლის აღმოჩენა.**

ეს ვინმე ნუცუბიძისპლატოელი ძალად მაცხონე პუბლიცისტი დუელისტი კანანაძე დიმიტრი (მგონი, ბიძინა ივანიშვილისგან ფულის ქეშად მიუღებლობის გამო ვიღაც დაბოღმილი უნდა იყოს ამ გვარ-სახელს ამოფარებული!) თან ქრისტესმიერ სიყვარულსა და პატივისცემას ეფიცება ბიძინა ივანიშვილს, თანაც „შავი მილიარდების“ უკანონოდ შოვნაში ედავება და ერთდროულად მართლწერასა და მართლმეტყველებას უწუნებს.

რაც მთავარია, ეს ვინმე კანანაძე დიმიტრი რატომღაც საქართველოს ერთპიროვნულ დიქტატორს უწოდებს ბიძინა ივანიშვილს და თავისი ფრიად და ფრიად უნიჭოდ, უწიგნურად შეთითხნილი წერილი-პასკვილის ასლს უფშვიტინე ადამიანებისთვის დამახასიათებელი ბაქიბუქით უგზავნის მასმედიას, საქართველოსა და დაინტერესებული ქვეყნების სახელმწიფო და საზოგადოებრივ სტრუქტურებსა და ორგანიზაციებს, კეთილი ნების ყველა ადამიანს(?!)

და აი, რეაქციაც!

როგორც გუშინ ბი-ბი-სი-მ გადმოსცა, კანანაძე დიმიტრის ამ სკანდალურ სადუელო წერილს უკვე თვით გაეროშიც გასცნობიან, სპეციალური სხდომაც მოუწვევიათ და დაუდგენიათ კიდეც, რომ დუელი გაიმართოს სადმე შორს საქართველოდან, ვთქვათ, კანარის (რადგან კანანაძის გვართან ფონეტიკურად უფრო ახლოს დგას!) კუნძულებზე, ხოლო სეკუნდანტებად დაინიშნონ თვით ნატოს გენერალური მდივანი, მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და სამართლიანობის გარანტი, და აგრეთვე „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორი, საქართველოს უკეთესი მომავლისათვის თავგანწირული ერისკაცი, უშიშარი, ვითარცა უხორცო (როგორც კანანაძე ბრძანებს!). გაეროს გადაწყვეტილებით, ბიძინა ივანიშვილს პასუხის გაცემა მოუწევს დიმიტრი კანანაძის ორ მთავარ კითხვაზე, აი ის სავარაუდო ორი კითხვა-პასუხიც.

**დ. კ. სამართლიანი გზით მოხვდით ქვეყნის სათავეში?**

**ბ. ი. არა, მაგრამ ხომ გაგიგონიათ, მიზანი ამართლებს საშუალებასო!**

**დ. კ. ნიკოლო მაკიაველი კეთილშობილ მიზანს გულისხმობდა, თქვენ რას უმიზნებდით?**

**ბ. ი. მეც, მაგრამ მილიარდების სიყვარულმა აჯობა საქართველოს სიყვარულს (SIC!).**

აქვე გვინდა მკითხველს ვაუწყოთ, რომ ამ დიმიტრი კანანაძეს თავისი გაზეთიც ჰქონია, — „პროგრესი. ახალი სოციალისტი“.

ამიტომ პირდაპირ გაკვირვებას ვართ, რატომ დასჭირდა ამ შუმი პოლიტიკური გაზეთის რედაქტორს წმინდა წყლის „ლიტერატურული გაზეთის“ გენერალისიმუსის სიმტკიცის მქონე რედაქტორის შეწუხება ინტელექტდუელის კურთხევისთვის?!

ისე, სხვა რა გზაა, დაველოდოთ გაეროსა და ნატოს შემდგომ ნაბიჯებს. ვნახოთ, როგორ ჩაივლის ეს ჯერ არნახული, ჯერ არგაგონილი ინტელექტუალური დუელი.

**ლარა ფულავა,**
**დუელის სულმოუთქმელად მომლოდინე მკითხველი.**

**გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარ რედაქტორსა და გამომცემელს,**

**უპირველესად ყოვლისა, უღრმესი მადლობა საქართველოს უკეთესი მომავლისთვის თავგანწირულ ერისკაცს — „უშიშარს, ვითარცა უხორცოს“:**

**— თქვენი სახელოვანი გაზეთის ფურცლებზე ინტელექტდუელის კურთხევისათვის!**

**— გენერალისიმუსის მსგავსი სიმტკიცით გაცემული ბრძანებისათვის: „დაიწყე, დიმიტრი!“**

**და მეც ვიწყებ! გამოსაქვეყნებლად გაახლებთ სტატიას — „ინტელექტუალურ დუელში გიწვევთ, მილიარდერო!“**

**მოუთმენლად ველი წამს, როცა ეთერში კვლავ გაიჟღერებს მსოფლიოს უდიდესი მოაზროვნისა და მხედართმთავრის მსგავსი ტემბრით ნათქვამი სიტყვები: „შესდექ, დიმიტრი, კმარა!“**

**უღრმესი პატივისცემით, მეგობრული სალმით — დიმიტრი კანანაძე.**

## კომედიშოუ — აქაც და იქაც

3

## რითი არსებობენ უკრაინაში გახიზნული ნაციონალები?

4

**სააკაშვილს ოდესაში შრომითი წიგნაკი გახსნილი არა აქვს**

2

## ხიდაშელი „ფეხებს დაუბაკუნებს“ და „შეშინებული“ მერკელი მაპს მოგვცემს?

## ილია ჭავჭავაძის ოცნების დარად...

5



## სამეგრელო საგურამოში

# ვანო მერაბიშვილი არც სააპელაციო სასამართლომ გაამართლა



**სააპელაციო** სასამართლომ ვანო მერაბიშვილის მიმართ გამოტანილი განაჩენი ძალაში დატოვა. საქართველოს პროკურატურის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, გუშინ, თბილისის სააპელაციო სასამართლოში სანდრო გირგვლიანის საქმის განხილვა დასრულდა, სადაც დაცვის მხარის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის ივანე მერაბიშვილის, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილი თანამშრომლების გერონტი ალანიასა და ვალერიან მეტრეველის მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი უცვლელად დარჩა.

აღნიშნული განაჩენით მერაბიშვილი ცნობილია დამნაშავედ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და სამსახურებრივი სიყალბისთვის, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 332-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 341-ე მუხლით. სასამართლომ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის და სასჯელის შთანთქმის პრინციპის გამოყენებით მერაბიშვილს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით და ჩამოართვა თანამდებობის დაკავების უფლება 2 წლის და 3 თვის ვადით.

**„უკვე ორი ინსტანციის სასამართლოს მიერაა დადასტურებული, რომ ივანე მერაბიშვილმა ორგანიზება გაუკეთა სანდრო გირგვლიანის საქმის მტკიცებულებების გაყალბებას და დაფარა დავით ახალაიას მონაწილეობა ამ დანაშაულში. კერძოდ: 2006 წლის 27 იანვარს, თბილისში, კაფე-ბარ „შარდენბარში“, სანდრო გირგვლიანს სიტყვიერი შელაპარაკება მოუხდა თამარ მერაბიშვილის და კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსის დავით ახალაიას სუფრის წევრ თათია მაისურაძესთან, რის გამოც დავით ახალაიას დავალებით, ადგილზე გამოძახებულმა კონსტიტუციური უსაფრთხოების თანამშრომლებმა სანდრო გირგვლიანი და მისი მეგობარი ძალის გამოყენებით ჩასვეს ავტომანქანაში, უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება და გაიტაცეს ქალაქგარეთ, ოქროყანის სასაფლაოზე. გამტაცებლებმა სანდრო გირგვლიანი და მისი მეგობარი გააშიშვლეს ძლიერ ყინვაში და სასტიკად სცემეს. ნაწამები სანდრო გირგვლიანის გვამი ნანახი იქნა ოქროყანის სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე. ამ ფაქტიდან მეორე დღეს, თბილისის შ.ს. მთავარი სამმართველოს მაშინდელმა უფროსმა მერაბ ბაღათურიამ მოახსენა შინაგან საქმეთა მინისტრ ივანე მერაბიშვილს, როგორც სუფრის წევრების შემადგენლობის, ასევე გირგვლიანის გამტაცებლების, „კუდ“-ის თანამშრომლების ვინაობის თაობაზე, შესაბამისად, ივანე მერაბიშვილმა დადასტურებულად იცოდა, რომ დანაშაულის ორგანიზატორი იყო დავით ახალაია, ხოლო შელაპარაკების ადგილას „შარდენბარში“ იმყოფებოდა მისი მეუღლე თამარ მერაბიშვილი. იმის გამო, რომ ხსენებული ფაქტის გამოაშკარავებით ივანე მერაბიშვილს მოუწევდა პოლიტიკური პასუხისმგებლობის გაზიარება და თანამდებობის დატოვება, იგი დავით ახალაიასთან ერთად საქმის გაყალბებას და დანაშაულის დაფარვას შეუდგა. გამოძიების ფალსიფიკაციის გეგმის ფარგლებში შედგა დავით ახალაიას „საიდუმლო“ წერილი ი. მერაბიშვილისადმი. თავის მხრივ, ი. მერაბიშვილის „საიდუმლო“ წერილი საქართველოს იმჟამინდელი გენერალური პროკურორის — ზურაბ ადეიშვილისადმი, რომ თითქოს დავით ახალაიას ძალისხმევის შედეგად გამოაშკარავებულ იქნენ სანდრო გირგვლიანის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულში მონაწილე კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლები: გერონტი ალანია, მიხეილ ბიბილურიძე, ავთანდილ აფციაური და ალექსანდრე ღაჭავა, რომლებიც 2006 წლის 6 მარტს მიეცნენ ბრალდებულად პასუხისგებაში. ხსენებულ პირებს, სასჯელის მოხდის საფასურად, ასევე დუმილისა და დანაშაულში უფრო მაღალი თანამდებობის პირების, კერძოდ, დავით ახალაიას ორგანიზატორობის არ განთქმის სანაცვლოდ, ივანე მერაბიშვილმა და დავით ახალაიამ შესთავაზეს და გადასცეს ფინანსური საზღაური 100-100 ათასი ამერიკული დოლარი და აღუთქვეს სასჯელისაგან ვადაზე ადრე გათავისუფლება, რითაც ხელი დააფარეს ამ დანაშაულის ორგანიზატორებს და გააყალბეს საქმის გამოძიება“, — ნათქვამია მთავარი პროკურატურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

აქვე აღნიშნულია, რომ მერაბიშვილისთვის ეს უკვე მესამე გამამტყუნებელი განაჩენია, რომელთაგან ორი უკვე შესულია კანონიერ ძალაში.

„იგი ამჟამად სასჯელს იხდის კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის დარღვევის, დიდი ოდენობით ფულადი თანხების გაფლანგვის, ამომრჩევლის მოსყიდვის და 2011 წლის 26 მაისს, მოქალაქეთა მასობრივი დაკავებისა და დარბევის ბრძანების გაცემისთვის. სასამართლომ ივანე მერაბიშვილის დამნაშავეობის საკითხთან ერთად ასევე, იმსჯელა საზოგადოებისთვის კარგად ცნობილ ვამეხი აბულაშვილის და კახა დაბრუნდაშვილის ეპიზოდებზეც და კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლების ვალერიან მეტრეველისა და გერონტი ალანიას მიმართ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი თავისუფლების უკანონო აღკვეთის და არაადამიანური მოპყრობის ბრალდებით. შეგახსენებთ, რომ 2005 წლის 5 ოქტომბერს, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა დავით ახალაიასთან სიტყვიერი შელაპარაკების გამო, ვამეხი აბულაშვილი და კახა დაბრუნდაშვილი გაიტაცეს და წაიყვანეს სოფელ ოქროყანის სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც დავით ახალაიამ, გერონტი ალანიამ, ვალერიან მეტრეველმა და კუდ-ის სხვა თანამშრომლებმა ისინი უმოწყალოდ სცემეს“, — აცხადებს საქართველოს პროკურატურა.

## ◎ ინფორმაცია

### ვისურვებდი, ინტერპოლი სტრასბურგის სასამართლოს არ დაემსგავსოს

— **ამის** შესახებ იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა ინტერპოლის მიერ საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრის დავით კეზერაშვილის საერთაშორისო ცირკულარიდან მოხსნის ფაქტის კომენტირებისას განაცხადა.

წულუკიანის თქმით, მას აქვს კითხვები ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, ვინაიდან ინტერპოლმა შეცვალა მეთოდოლოგია.

იუსტიციის მინისტრი ასევე აცხადებს, რომ ინტერპოლის ეს გადაწყვეტილება ხელს უშლის საქართველოს ძალოვან სტრუქტურებს დანაშაულთან ბრძოლის საქმეში.

„ეს სამწუხარო ფაქტია, რადგანაც ჩვენ ინტერპოლთან ტრადიციულად, ძალიან კარგი თანამშრომლობა გვაქვს. საქართველოს მხრიდან ეს თანამშრომლობა, რა თქმა უნდა, გაგრძელდება, იქნება ეს ექსტრადირება, თუ პატიმართა გადაცემა-გადმოცემის საკითხები, მაგრამ ამ გადაწყვეტილებას რაც შეეხება, მე მაქვს ჩემი კითხვის ნიშნები, თუ როგორ იქნა ეს გადაწყვეტილება მიღებული. რადგან მათ მეთოდი შეცვალეს. ვისურვებდი, რომ პოლიცია, მათ შორის, ინტერპოლი არ დაემსგავსოს სტრასბურგის სასამართლოს, რომელიც უფრო უფლებებზე აკეთებს აქცენტს, ვიდრე დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაზე“, — განაცხადა თეა წულუკიანმა და დასძინა, რომ პოლიცია უწინარესად დანაშაულთან ბრძოლის ინსტიტუტი უნდა იყოს.

### ემზადებიან არჩევნებისთვის

**პარტია** „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო“ არჩევნებისთვის მზადებას იწყებს. როგორც საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა ეკა ბესელიამ განაცხადა, ამ მიზნით „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარესთან, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან კონკრეტული ღონისძიებების ნუსხა შეჯერდა.

„ძირითადად ვისაუბრეთ პარტიულ საკითხებზე. დავგეგმეთ, რომ ჩავატარებთ რაიონული ორგანიზაციების კონფერენციებს. კონკრეტული თარიღები მოგვიანებით დაზუსტდება, მაგრამ სავარაუდოდ დავიწყებთ სექტემბრიდან. ასევე იგეგმება შიდაპარტიული სხვადასხვა აქტივობა და ღონისძიებები. სწორედ ამ შიდაპარტიულ საკითხებზე გვქონდა საუბარი პრემიერ-მინისტრთან, რომელიც ჩვენი პარტიის თავმჯდომარეა. ბუნებრივია, პარტია, რომელიც მმართველი პოლიტიკური ძალაა და რომელიც ემზადება იმისთვის, რომ გავაგრძელოთ აღებული ვალდებულებების შესრულება, უნდა იყოს მზად ძალიან მნიშვნელოვანი ეტაპისთვის. გვინდა, რომ კონკრეტული ღონისძიებებით და პარტიული აქტივობებით დაიწყოს არჩევნებისთვის წინასწარი მზადება“, — აღნიშნა ეკა ბესელიამ.

## ◎ SIC!

# ხიდაშელი „ფეხებს დაუბაკუნებს“

## ენაზე მომდგარ სიტყვასა, განა სუყველას თქმა უნდა?!..

**ამას წინათ** საქართველოს თავდაცვის მინისტრმა თინათინ ხიდაშელმა განაცხადა, რომ მომავალი წლის ვარშავის ნატოს სამიტზე საქართველოსვის მაპ-ის მიცემის საკითხი დადებითად უნდა გადაწყდეს.

ამის მისაღწევად კი, ნატოს ხელმძღვანელობის და ალიანსის წევრი 28 სახელმწიფოს მიმართ მისი „ტონი კატეგორიული იქნება“ და რომ „ყველამ („სავარაუდოდ“, ევროპა-ამერიკამ!) იცის ის, თუ რამდენად „გულწრფელი პოლიტიკოსია“ იგი, ანუ რასაც ამბობს ხიდაშელი, ეს „ხუმრობა არ ეგონოს ვინმეს“! მოკლედ, იმის ამბავს წვრილად არ მოვყვები (ყველას კარგად მოგეხსენებათ), რაც დაკავშირებულია ნატოს მიერ მაპ-ის საქართველოსთვის მინიჭება-არ მინიჭებასთან, უბრალოდ შეგახსენებთ, რომ მაპ-ის საქართველოზე მიცემის უპირველესი წინააღმდეგი ქვეყანა გახლავთ გერმანია და მისი კანცლერი ანგელა მერკელი, ხოლო ნატოში ამ გადაწყვეტილების მიღება-არმიღებისას ამ ფაქტს მუდამ ითვალისწინებენ, — მთელი „ძველი ევროპის“ სახელმწიფოები, დაწყებული საფრანგეთიდან და დამთავრებული პატარა ლუქსემბურგით!! მოკლედ, როგორ აპირებს ქ-ნი ხიდაშელი სასურველი შედეგის მიღწევას, დიდ გამოცანად რჩება... არადა, ქართველი საზოგადოებისთვის ყალბი მოლოდინების გაჩენა დიდად დააზარალებს საქართველოს ხელისუფლებას, მით უმეტეს, რომ ვარშავის სამიტი გაისად ივლისში იმართება და საქართველოს საპარლამენტო არჩევნები კი იმავე წლის ოქტომბერში!..ალბათ, ისევ „ქალური ლოგიკა“ თუ დაგვეხმარება, ანუ — ხიდაშელი „ფეხებს დაუბაკუნებს“ და „შეშინებული“ მერკელი მაპს მოგვცემს“, რასაც ნატოს წევრი დანარჩენი 27 სახელმწიფოც დაეთანხმება?!

სულ ცოტა ხნის წინათ კი, რუსეთის მიერ საოკუპაციო ხაზის გადმოწევასთან დაკავშირებით, თავდაცვის მინისტრმა განაცხადა: **რუსებს საკუთარი ხელით მოუწევთ ტრანსფარანტების თუ ტრაფარეტების, რასაც დგამენ ჩვენს მიწაზე, უკან, ოფიციალური, საბჭოთაკავშირის დროინდელი საზღვრისკენ გადაწევა“**. აი ასე, მკვეთრად „სააკაშვილისეული სტილის“ განცხადება „გვაჩუქა“ სამხედრო მინისტრმა. მერე და, რა გაკეთდა ამით? სახელმწიფო საქმისთვის არც არაფერი, პირადი პიარისთვის კი ის, რომ ხიდაშელმა თავის „რეკომენდატორებს დაანახა“, თუ როგორი „მკაცრი და შეუვალია“ იგი რუსეთის მიმართ. კი, მაგრამ, „ეს ხომ უკვე ნანახი გვაქვს“ და რით დამთავრდა, ისიც გვახსოვს, არა? თუ, ხიდაშელიც სააკაშვილივით თანახმაა, რომ მომავალში რეკომენდატორებმა „გუბერნატორად გაამწესონ“ უკრაინის რომელიმე ოლქში? რაც უნდა ის უქნია, მაგრამ საქართველომ რა დააშავა, რომ ასეთი „მზრუნველი და წინდახედული“ პოლიტიკოსების ხელშია უკვე მრავალი წელია? ხიდაშელი, იურისტ-უფლებადამცველი იყო და, როგორც ჩანს, დარჩა ასეთად, ეს აშკარად შეიმჩნევა მის რიტორიკაში, ამიტომ, ხელისუფალნო, ჩემი ღრმა რწმენით, რაც უფრო მალე მოაშორებთ მას, „თავდაცვის მინისტრის როლს“, მით უკეთესი იქნება საქართველოს უსაფრთხოებისათვის!

დიახ, „გააჩერეთ“ ხიდაშელი და დააბრუნეთ პარლამენტში ან არასამთავრობო სექტორში, სადაც აიდგა ფეხი და სადაც მას კიდევ შეუძლია რაღაც სარგებლის მოტანა! თავდაცვის მინისტრის მხრიდან ასეთი შინაარსის განცხადების გაკეთება არის სრული უცოდინარობა და პოლიტიკური სიბეცე, რომელიც ქვეყნისთვის შეიცავს საფრთხეს! დიახ, ეტყობა ხიდაშელს წარმოდგენაც არა აქვს იმაზე, რაზეც საუბრობს, მთავარია,

◎ ჟურნალისტის დღიურიდან

# კომედიშოუ – აქაც და იქაც

## ციკლიდან: „რაღაც ძალიან დალპა მედიის სამეფოში“



### ღმერთო, შეგვინდე!..

**თითქმის ერთი კვირა იყო გასული წურწუმიას მეუღლის დაჭერიდან, უახლოესი ნათესავი რომ მესტუმრა. ამის შესახებ არაფერი იცოდა. მამულიჩას ნარკობარიგობა შეიცხადა, იმაზე კი არც დაფიქრებულა, თუ რატომ არ იცოდა. რა ქნას, მხოლოდ „ცრუსთავორს“ უყურებს. არადა, ეს ამბავი რომ მოხდა, არჩევანი“ იმ ღამითაც მამლის მესამე დაყივლებამდე გადიოდა. აბა სააკაშვილის მომღერლის ქმარი არ ყოფილიყო, ვნახავდით, რა სიხარულით (ანუ ყალბი შეწუხებით) გვამცნობდა გაბუნია ამ ცხელ ამბავს!**

მაგრამ ახალ ამბებს ხომ აქ თვითონ აკეთებენ?!

გვარამიას ეყო ჭკუა, რომ თვითაღიარების მაუწყებელი სლოგანი(„ახალი ამბები კეთდება აქ“) მოეხსნა, მაგრამ „ახალი ამბების კეთება“ უფრო წარმატებით გააგრძელა.

ეს ამბავი კი არ „გააკეთეს“.

არ უნდოდათ და არ „გააკეთეს“...

მაშინ გამახსენდა შალვა ნათელაშვილის მოსწრებული ხუმრობა – ალბათ, ერთადერთი ფრაზა, რითაც პირველი ლეიბორისტი საქართველოს ისტორიაში დადებითად შევა: „ფაშისტებს რომ „რუსთავი-2“ ჰქონოდათ, გერმანელებს დღემდე არ ეცოდინებოდათ, ომი რომ წააგეს.“

სხვათა შორის, ნაცებმა და მათმა მომხრეებმაც დღემდე არ იციან, 2008 - ში ომი რომ წააგეს!– „ბრმად დაუჯერეს“ ყველა მთავრობის მრჩეველ ლიტერატორს(?!), რომელმაც იმთავითვე განაცხადა, ომი კი არა, ბრძოლა წავაგეთო(?!)...

შალვა ნათელაშვილს თავისი მწარე ხუმრობა აღარც ახსოვს – ისე დაუმეგობრდა „ცრუსთავორს“, რომ მისი ეკრანიდან აღარ ჩამოდის. ამაზე იტყვიან, ფერი ფერსა და მადლი ღმერთსაო...

**თუმცა, აქ ღმერთის ხსენება უღმერთობის ტოლფასია. ღმერთო, შეგვინდე!..**

### იქნებ მხოლოდ კონცერტების გამართვაა ისევ „ცრუსთავორის“ საქმე?!

**ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიადის („თბილისი – 2015“) გახსნა. მართლაც ულამაზესი სანახაობა – არგონავტების მითის ორიგინალური ვერსია, რომელსაც ირმა ნიორაძე სუხიშვილების მოცეკვავესთან ერთად წარმოგვიდგენს. ისეთი სანახაობაა, რომ თვალს ვერ მოსწყვეტ, მაგრამ პროფესიული ცნობისმოყვარეობა მძლევს და ტელევიზორს, წამით, „რუსთავ-2“-ზე გადავრთავ. უბადრუკ და გემოვნებისგან თავისუფალ „კომედიშოუს“ აჩვენებენ(?!).**

მეორე დღე.

დილის „კურიერი.“

რა უნდა იყოს პირველი ნიუსი (ახალი ამბავი), თუ არა ოლიმპიადის ასეთი შთამბეჭდავი გახსნა?!

ნურას უკაცრავად – ინფორმაცია დამზაფრავია: „მიწისძვრა საქართველოში“(?!)...

კიდევ კარგი – სუსტი და უმნიშვნელო.

ყველაფერი გასაგებია: ოლიმპიადის ასეთი გრანდიოზული გახსნა და ულამაზესი სანახაობა ნიშნავდა მიწისძვრას „ცრუსთავორისთვის“.

რამდენიმე დღის შემდეგ ნიკა გვარამია საჯაროდ დაიჩივლებს, რომ მის ტელეკომპანიას ხელს უშლიან პროფესიული საქმიანობის განხორციელებაში.

**ისე კარგად მოვიკითხოთ და გავაანალიზოთ: იქნებ მხოლოდ კონცერტების გამართვაა ამ სამაუწყებლო(?!) კომპანიის პროფესიული საქმიანობა?!**

### დიდი ნდობით აღჭურვილი?!

**საქართველოს ამჟამინდელ პრეზიდენტს, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა ხვეწნა-მუდარითა და კეთილშობილი მუქარით(„აღარ დაგელაპარაკებით“) აგვარჩევინა, სააკაშვილის წყალობით, ძირითადად, ორი რამის უფლება აქვს – შეწყალებისა და ვეტოს დადების.**

და ბავშვივით უხარია, როცა ან ერთის ან მეორის შესაძლებლობა ეძლევა.

ოღონდ, ორივე ამ უფლებას მეტად უცნაურად იყენებს:

როცა საქმე შეწყალებაზე მიდგება, უწინარეს ყოვლისა, საკუთარი მეუღლის ან ბობოლა ნაცების ძმებს შეიწყალებს ხოლმე;

როცა საქმე ვეტოს დადებაზე მიდგება, ისეთ კანონპროექტს აითვალწუნებს, აქაც ნაცების გული რომ გაახაროს(?!)

ამას წინათ აკაკი ბობოხიძის ძმა შეიწყალა, თანაც თავისივე ხელმოწერილი კანონის დარღვევით: სასჯელის მესამედი არ ჰქონდა მოხდილი.

ეს ფაქტი პრემიერ-მინისტრმა კრიტიკულად შეაფასა, თანაც საკმაოდ ეფექტური სარკაზმის გამოყენებით.

კითხვები და პროტესტი ბუნებრივად გაჩნდა საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილში.

აქ უკვე შეწყალების კომისიის თავმჯდომარემ გამოყო თავი, რომელიც, წესით, არ გამოეყოფ(ოდ)ა.

მისი განცხადება ზომაზე მეტად უტიფარი იყო – **პრეზიდენტმა იმიტომ შექმნა მაღალი ნდობით აღჭურვილი კომისია, რომ მის გადაწყვეტილებას ეჭვით არ უნდა შეხედოთო(?!)...**

დიახ, სწორედ ასე: თურმე კომისიამ საეჭვო გადაწყვეტილებებიც რომ მიიღოს, ეჭვით მაინც არ უნდა შევხედოთ, რადგან „პრეზიდენტმა მაღალი ნდობით აღჭურვილი კომისია შექმნა“(?!)...

ცოდვა გამხელილი სჯობს – არ ვიცი, ვინ არიან კომისიის წევრები, მაგრამ ის კი მჯერა, რომ ღირსეული პიროვნება იმ კომისიაში არ უნდა იყოს, ზვიად ქორიძე რომ ხელმძღვანელობს.

რატომ?

არგუმენტი?

არგუმენტი არაერთია.

ამჯერად მხოლოდ ერთს ვიტყვი:

ზვიად ქორიძე შედიოდა იმ კომისიაში (ია ანთაძესთან ერთად), რომელმაც სააკაშვილისა და ლომაიას დაკვეთა შეასრულა და ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტს ყველაზე ღირსეული პროფესორები მოკვეთა ( ქორიძემ, დღეს მთავარმა შემწყალებელმა, მაშინ საკუთარი გამზრდელიც კი არ დაინდო!). ნაც-(იონალ)ებმა მთავარი დანაშაული სწორედ მაშინ ჩაიდინეს. 24 წელი გაგახსენდება – ქართულ არისტოკრატიას ნაღები მაშინ მოხადეს. 37, მასთან შედარებით, უმნიშვნელოდ მოგეჩვენება, მით უფრო, რომ 37-ში 24 წლის მთავარი ჯალათებიც გაანადგურეს.

ჩვენს დროში სურათი კიდევ უფრო ტრაგიკულია: 24-საც და 37-საც ერთი და იგივე ხალხი აწყობს.

დიდი ნდობით აღჭურვილი(?!) ხალხი...

**„კომედიშოუ“ ქვეყანაშიც და „ცრუსთავორზეც“ შეუფერხებლად მიდის...**

**„იმედზეც“ იგივე ხდება. იქ ჯაჯანიძეა „სხვა რაკურსით“, ამიტომაც ეს სხვა სტატიის თემაა...**

**იოსებ ჟუმბურიძე**

◎ SIC!

# და „შეშინებული“ მერკელი მაპს მოგვცემს?

„ხმამაღლა თქვას და რიხიანად“, ხოლო ამას რა შეიძლება მოჰყვეს, არც ნაღვლობს! არადა, ეს გახლავთ უსერიოზულესი პრობლემა, ქვეყნის დეოკუპაცია, რომლის არცოდნა, არათუ დეოკუპაციის საშულებას მოგვცემს, არამედ უფრო გაღრმავებს და გაახანგრძლივებს უცხო სახელმწიფოს ჯარების ყოფნას ქვეყანაში! კონკრეტულად ამ საკითხთან დაკავშირებით, „გადაეცით“ხიდაშელს (სანამ მინისტრია და რაიმე „საბედისწერო განცხადების“ გაკეთება კიდევ შეუძლია), რომ რუსეთის როლი და მნიშვნელობა საერთაშორისო თანამეგობრობაში უმნიშვნელოვანესია, უწინარესად კი, გლობალური ბირთვული უსაფრთხოების ჭრილში და ის გეოპოლიტიკური დაპირისპირება დასავლეთთან უკრაინის კრიზისის გამო, ამის დადასტურებაა. რუსეთის ჩაურთველად, მიუხედავად მისი აგრესიული ქმედებებისა, არც ერთი გლობალური უსაფრთხოების საკითხი მსოფლიოში არ იხილება და უიმისოდ გადაწყვეტილებას ვერ ღებულობენ. ამიტომ, საქართველოს დეოკუპაციის და გამთლიანების მისაღწევად აუცილებელი იქნება, რომ დასავლეთის და რუსეთის შეთანხმება მოხდეს. უპირველეს ყოვლისა, საქართველოს ხელისუფლებამ ამისთვის უნდა იზრუნოს. შეგახსენებთ, რაც სააკაშვილის პრეზიდენტობისას ხდებოდა: იგი ოკუპანტ რუსებს ისე „ამკობდა“, თითქოს, დღეს თუ არა ხვალ დაპანღურებით გადარეკავდა კავკასიონის ქედს იქით! დღეს ხიდაშელიც იგივეს აგრძელებს...უბრალოდ, „გადარჩენილები“ ვართ, რომ ქ-ნი მინისტრი „პრეზიდენტი არ არის“, თორემ რუსს „არ დაეზარებოდა გაეკეთებინა იგივე, რაც გააკეთა საკაშვილის დროს“.

დიახ, გაიხსენეთ, როგორ მოხდა აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების („ვარშავის ბლოკი“, – გდრ, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, ბულგარეთი) დეოკუპაცია, – მოლაპარაკებების შედეგად (და არა ლანძღვის ან მუქარის!), ურთიერთგაგების და ურთიერთშეთანხმების ატმოსფეროში. გახსოვთ, რუსეთის პრეზიდენტი ელცინი როგორ „დირიჟორობდა“ სიმფონიურ ორკესტრს ბერლინში რუსეთის ჯარების აღლუმის დროს (ამის შემდეგ, რუსულმა ჯარმა დატოვა გერმანიის მიწა-წყალი, სადაც 45 წელი იმყოფებოდა!), გერმანიის კანცლერის კოლის თანდასწრებით! ავღანეთშიც, სწორედ დიალოგის რეჟიმი უძღოდა წინ ავღანეთის დეოკუპაციას (საპატიო აღლუმის გამართვის შემდეგ, საბჭოთა ნაწილებმა „თავაწეულებმა“ დატოვეს ავღანეთი!), სადაც რუსებმა 9-წლიანი ოკუპაციის შედეგად 1 მილიონ ავღანელს სიცოცხლე მოუსპეს!! მოკლედ, არ არსებობს მაგალითი, რომ რუსულ ჯარებს „სირბილით, თავქუდმოგლეჯილებს“ დაეტოვებინოთ ესა თუ ის ქვეყანა და „თავისი ხელით წაეყარათ თავზე ნაცარი“ (როგორც ხიდაშელი „მოითხოვს“)! ასე რომ, ყველა სახელმწიფომ, სადაც იდგა რუსეთის სამხედრო კონტინგენტი, მხოლოდ მოლაპარაკების და ურთიერთპატივისცემის გამოხატვის შემდეგ მიაღწია რუსეთის სამხედროების გაყვანას და სრულ დეოკუპაციას.

ახლა ქვეყნის შეიარაღების თემაც განვიხილოთ ორიოდე სიტყვით! ჯერ იყო და, ალასანიამ „ყურები გაგვიყრუა“, არიქა, მნიშვნელოვან სამხედრო კონტრაქტს ვაწერდი ხელს ფრანგებთან და შემიშალესო, აღმოჩნდა, რომ ეს პროცესი ჯანელიძის დროს გაგრძელდა ყოველგვარი ხმაურის გარეშე, მაგრამ, „ხიდაშელი რის ხიდაშელია“, რომ ალასანიაზე („კონკურენტი ფირმა“!) ხმამაღლა არ განეცხადებინა ამის შესახებ (დიდი საქმე კი, „უხმაუროდ კეთდება“!)! რა გითხრათ იცით, ხელისუფალნო, რით გაგახაროთ, განა ზუსტად ასეთი რიტორიკა არ ჰქონდა საკაშვილს, როგორიც აქვს ხიდაშელს? გაიხსენეთ, მუდამ ასეთი გზავნილები არ ისმოდა მისგან, რომ „მალე დაიწყებოდა ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი შეიარაღების განლაგება საქართველოში“ და სხვა?! რა ეგონა მაშინ სააკაშვილს და რა ჰგონია დღეს ხიდაშელს, რომ ამ „ახალი ამბავის“ გაგონების შემდეგ, რუსებს შეეშინდებათ და გაიქცევიან??!! გინდათ, გითხრათ, თუ რას მოიმოქმედებენ რუსები ამ შემთხვევაში?! რუსეთი, დამატებით ძალებს განათავსებს ე.წ. „სამხრეთ ოსეთში“ და აფხაზეთში, შემოიტანს დიდი რაოდენობით იარაღს და მათ მიერ ოკუპირებულ ჩვენს რეგიონებში და ამით, რეალური საფრთხე შეექმნება საქართველოს დანარჩენ ტერიტორიებსაც!!

**ჯუმბერ კირვალიძე,**
პოლიტოლოგი.

**P. S.** **მე მაინტერესებს, ალბათ, ქართველი საზოგადოების დიდ უმრავლესობასაც, მოვლენების ამგვარი განვითარების შემთხვევაში ვინ იქნება პასუხისმგებელი, მხოლოდ თავდაცვის მინისტრი ხიდაშელი, თუ მთლიანად ხელისუფლება?! უკაცრავად, „მწარე“ შეკითხვაა? ჰოდა, თუ გინდათ, რომ „გატკბილდეს“, დროულად მიიღეთ გონიერი გადაწყვეტილებები და ყველა კადრს „შესაბამისი თანამდებობა მიუჩინეთ“! თორემ მწარედ ინანებთ ყველანი!..**

**ჯ. კ.**

# რითი არსებობენ უკრაინაში გაჩიზნული ნაციონალები?

## საკაშვილს ოდესაში შრომითი წიგნაკი გახსნილი არა აქვს

**როგორ ცხოვრობენ უკრაინაში ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები, ვინ უზრუნველყოფს მათ საცხოვრებელ პირობებს, შეუძლია თუ არა უკრაინის ბიუჯეტს მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება? ამ საკითხით „ახალგაზრდა ადვოკატები“ დაინტერესდნენ. მათ უკრაინის მთავრობაში დასაქმებული საქართველოს ყოფილი მაღალი თანამდებობის პირთა სახელფასო ფონდის, პრემიებისა და დანამატების, სამივლინებო და ცხოვრების ხარჯების შესახებ მიღებული ინფორმაციის შესწავლა დაასრულეს.**

ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS

„ახალგაზრდა ადვოკატების“ ხელმძღვანელის **არჩილ კაიკაციშვილის** განცხადებით, უკრაინის სამთავრობო უწყებების მხრიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, უკრაინის ხელისუფლება ინფორმაციას არ ფლობს შრომითი ანაზღაურების გარდა, ვინ უზრუნველყოფს უკრაინის ხელისუფლებაში დანიშნული ქართველი ყოფილი მაღალი თანამდებობის პირთა ცხოვრების ხარჯებს. მათ შორის, უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაცია არ ადასტურებს ინფორმაციას საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე საცხოვრებელი მოთხოვნილებების უზრუნველყოფის შესახებ. წერილში ნათქვამია, რომ მიხეილ სააკაშვილი უკრაინის პრეზიდენტის მრჩევლად შტატგარეშედ მუშაობდა, ხოლო უკრაინის პრეზიდენტის 2015 წლის 13 თებერვლის ბრძანებულებით, დაინიშნა უკრაინის საერთაშორისო საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარედ. როგორც ოდესის საოლქო სახელმწიფო ადმინისტრაციის წერილშია აღნიშნული, მიხეილ სააკაშვილი ოლქის სახელმწიფო ადმინისტრაციის თავმჯდომარედ უფლებამოსილებას 2015 წლის 30 მაისიდან ასრულებს. **მიღებული ინფორმაციით, მიხეილ სააკაშვილის შრომითი ანაზღაურება წარმოადგენს 5644 უკრაინულ გრივნას, რაც საქართველოს ეროვნულ ვალუტაში შეადგენს, დაახლოებით 578 ლარს. ამასთან, მას სამუშაოს დაწყებიდან, 2015 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, დარიცხული აქვს 5644 გრივნა, რაც საქართველოს ეროვნულ ვალუტაში შეადგენს დაახლოებით 578 ლარს.** წერილში ნათქვამია, რომ სახელმწიფო მოხელის რანგი და დანამატები არ დადგენილა, პრემია არ გაცემული. ამასთან, ოდესის საოლქო სახელმწიფო ადმინისტრაციის წერილში ყურადღებას იპყრობს ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს, უკრაინაში საქმიანობის პერიოდში გახსნილი არა აქვს შრომითი წიგნაკი. შესაბამისად, ინფორმაციის გამცემი ორგანო არ ფლობს ინფორმაციას მიხეილ სააკაშვილის წინა სამუშაო ადგილებზე შრომითი ანაზღაურების შესახებ, თუმცა, როგორც პრეზიდენტის ადმინისტრაციაში აღნიშნეს, მიხეილ სააკაშვილს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში საქმიანობის დროს შრომითი ანაზღაურება არ მიუღია.

უკრაინის ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციის საფუძველზე, უკრაინის ჯანდაცვის მინისტრს ალექსანდრე კვიტაშვილს, უფლებამოსილების განხორციელების დღიდან, 2014 წლის 2 დეკემბრიდან მოცემულ პერიოდამდე, ყოველთვიური შრომითი ანაზღაურება — 6109,00 უკრაინული გრივნა ერიცხება, რაც საქართველოს ეროვნულ ვალუტაში შეადგენს დაახლოებით 626 ლარს. წერილის თანახმად, უკრაინის ჯანდაცვის სამინისტრო არ უზრუნველყოფს მინისტრის ადგილზე საცხოვრებელი ხარჯების ანაზღაურებას. ამასთან, აღნიშნულია, რომ მინისტრს შრომა უნაზღაურდება ხდება სამინისტროს შრომითი ანაზღაურების ფონდიდან.

უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მინისტრის პირველი მოადგილის ეკატერინე ზღულაძე-გლუკსმანის 2014 წლის დეკემბრიდან 2015 წლის მაისის მდგომარეობით მიღებული შრომითი ანაზღაურება საერთო ჯამში შეადგენს 113.974 უკრაინულ გრივნას, რაც საქართველოს ეროვნულ ვალუტაში შეადგენს დაახლოებით 11.684 ლარს. წერილში აღნიშნულია, რომ ეკატერინე ზღულაძე-გლუკსმანის საცხოვრებელ ხარჯებს არა ნაზღაურებს უკრაინის სახელმწიფო ბიუჯეტი. ეკატერინე ზღულაძე-გლუკსმანი უკრაინის შსს მინისტრის პირველ მოადგილედ 2014 წლის 17 დეკემბრიდან საქმიანობს.

უკრაინის იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, მინისტრის მოადგილეს გია გეწაძეს 2015 წლის თებერვალში მიეცა 4268,00, ხოლო მარტში, აპრილსა და მაისში, ცალკ-ცალკე — 9462,00 უკრაინული გრივნა, რაც საქართველოს ეროვნულ ვალუტაში მთლიანობაში შეადგენს დაახლოებით 3347 ლარს. სამინისტრო ინფორმაციას ავრცელებს ხატია შელიას და ჯაბა ებანოიძის საქმიანობასთან დაკავშირებითაც, რომლის მიხედვითაც, ორივე მათგანი მუშაობდა იუსტიციის მინისტრის მრჩევლად. წერილის თანახმად, არც ხატია შელიას და არც ჯაბა ებანოიძის საქმიანობა არ იყო ანაზღაურებადი. უკრაინის სახელმწიფო ბიუჯეტიდან არ ნაზღაურდებოდა არც მათი ქვეყანაში ცხოვრების ხარჯები. სამინისტროს ამავე ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ უკრაინის იუსტიციის სამინისტროში არ მუშაობს გიორგი წიკლაური. ამასთან, უკრაინის პრემიერ-მინისტრის აპარატის წერილში საუბარია კიდევ ერთ ქართველ ყოფილ მაღალჩინოსანზე, აჭარის მთავრობის ყოფილ თავმჯდომარე ლევან ვარშალომიძეზე. მინისტრთა კაბინეტის სამდივნო აღნიშნავს, რომ ლევან ვარშალომიძე 2014 წლის 23 დეკემბრიდან მუშაობდა უკრაინის პრემიერ-მინისტრის მრჩევლად, მაგრამ 2015 წლის 1 ივნისიდან ის აღარ იკავებს ამ თანამდებობას. სამდივნოს ცნობით, ლევან ვარშალომიძის პრემიერის მრჩევლად საქმიანობა სახელმწიფო ბიუჯეტიდან არ ყოფილა ანაზღაურებული. ამასთან, წერილში ნათქვამია, რომ მრჩევლებზე, რომელთა საქმიანობაც არ არის ანაზღაურებული, არ გაიცემა არც პრემიები და არ იფარება ქვეყანაში ცხოვრების ხარჯებიც.

უკრაინის გენერალური პროკურატურის ინფორმაციით კი, გენერალური პროკურორის მოადგილის დავით საყვარელიძის თანამდებობრივი სარგო შეადგენს 4914,00 უკრაინულ გრივნას, რაც საქართველოს ეროვნულ ვალუტაში დაახლოებით 503 ლარია. დავით საყვარელიძე ასევე ღებულობს დანამატს ხელფასზე სტაჟის გამო, რაც თანამდებობრივი სარგოს 15%-ია. ასევე დანამატს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების მაღალი მიღწევებისა და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი უფლებამოსილების შესრულების გამო. წერილში აღნიშნულია, რომ უკრაინის გენერალური პროკურორის მოადგილე იღებს პრემიასაც, რაც უკრაინის მინისტრთა კაბინეტის 2012 წლის 31 მაისის დადგენილებით, უნდა შეადგენდეს, სულ მცირე, თანამდებობრივი სარგოს 10%-ს. როგორც წერილშია აღნიშნული, უკრაინის გენერალური პროკურატურა არ ფლობს ინფორმაციას დავით საყვარელიძის საცხოვრებელი ხარჯების ანაზღაურებასთან დაკავშირებით. პროკურატურა არ ადასტურებს ინფორმაციას, რომ კიდევ ერთი ქართველი ყოფილი საჯარო მოხელე გიზო უგულავა მუშაობს უკრაინის გენერალურ პროკურატურაში.

**არჩილ კაიკაციშვილის შეფასებით, უკრაინაში საქართველოს ყოფილი მაღალი თანამდებობის პირთა სახელფასო ფონდის, პრემიებისა და დანამატების, სამივლინებო და ცხოვრების ხარჯების შესახებ მიღებული ინფორმაციის ანალიზი მეზობელ ქვეყანაში მათი საქმიანობის მიზნებსა და რეალურ საფუძვლებს საუკეთესოდ წარმოაჩენს. ყოფილი მაღალი თანამდებობის პირები, საქართველოში საჯარო მმართველობის განხორციელების პერიოდში, გაცილებით მაღალ შრომით ანაზღაურებას, პრემიებსა და დანამატებს იღებდნენ. ამიტომაც საჭიროა საზოგადოება ფლობდეს ინფორმაციას, საქართველოს ყოფილი ხელისუფლების წევრების უკრაინაში ყოფნა, რეალურად ემსახურება პოლიტიკური რეაბილიტაციის საკითხს, უკრაინაში რეფორმების გატარების ობიექტურ სურვილს თუ არაღიარებულ პოლიტიკურ თავშესაფარს. ფაქტი ერთია, უკრაინის ხელისუფლებაში საჯარო მოხელისთვის განკუთვნილი ანაზღაურება საარსებო შესაძლებლობებისთვის ძალიან დაბალია. ბევრი ქართველი ყოფილი თანამდებობის პირი მთელი საქმიანობის მანძილზე შრომით ანაზღაურებასაც არ იღებდა. უკრაინის სახელმწიფოს ბიუჯეტი არ უზრუნველყოფს არც ერთი მოქმედი თუ ყოფილი ქართველი თანამდებობის პირის უკრაინაში ცხოვრების ხარჯებს.**

შესაბამისად, თუ როგორ ცხოვრობენ და რა ფინანსური რესურსი აქვთ უკრაინაში ქართველ ყოფილ თანამდებობის პირებს, კიდევ უფრო მეტად აქტუალური ხდება. ბუნებრივია, ერთი მხრივ, ეს ზრდის მაღალი კორუფციის საფრთხეს, მეორე მხრივ კი — ფინანსური მოტივაციის გარეშე, საჯარო უწყებების მიმართ ნაკლებ ნდობას აჩენს.

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ 2015 წლის 9 ივნისს ოფიციალური წერილით მიმართეს უკრაინის შემდეგ სამთავრობო უწყებებს: უკრაინის იუსტიციის სამინისტროს (მინისტრს), უკრაინის გენერალურ პროკურატურას (გენერალურ პროკურორს), უკრაინის პრემიერის აპარატს (აპარატის საჯარო ინფორმაციისა და კომუნიკაციების დეპარტამენტის დირექტორს), უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციას (ადმინისტრაციის უფროსს) და უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტროს (მინისტრს). ორგანიზაციას აინტერესებდა ზემოაღნიშნული უწყებებიდან ქართველი ყოფილი მაღალი თანამდებობის პირების — **მიხეილ სააკაშვილის, ალექსანდრე კვიტაშვილის, ლევან ვარშალომიძის, ეკატერინე ზღულაძის, ჯაბა ებანოიძის, გიორგი წიკლაურის, გია გეწაძის, დავით საყვარელიძის, გიზო უგულავას და ხატია შელიას შესახებ** შემდეგი სახის საჯარო ინფორმაციის მოწოდება: **დასახელებულ უწყებებში აღნიშნულ პირთა თანამდებობრივი სტატუსი და საქმიანობის დაწყების პერიოდი, მათი ყოველთვიური შრომითი ანაზღაურება, მიღებული პრემიები და დანამატები უკრაინის ეროვნულ ვალუტაში 2015 წლის 10 ივნისის მდგომარეობით და ინფორმაცია, უკრაინის სახელმწიფო ბიუჯეტიდან, რა ოდენობით თანხა მიემართება ყოველთვიურად მათი ცხოვრების ხარჯების დასაფარად.**

**„უკრაინის სამთავრობო უწყებებმა ოპერატიულად ითანამშრომლეს ორგანიზაციასთან. მაშინ, როდესაც ქართველი საზოგადოების მხრიდან საჯარო ინტერესი მიმართულია უკრაინაში დასაქმებული ქართველი ყოფილი მაღალი პოლიტიკური და საჯარო სამსახურის თანამდებობის პირების მიმართ, ჩვენი მიზანი იყო, უკრაინის სამთავრობო უწყებებიდან მიგვეღო საჯარო ინფორმაცია და გაგვეცნო ქართველი საზოგადოებისთვის“,** — აცხადებს არჩილ კაიკაციშვილი.

**კვლევა ცხადყოფს, რომ უკრაინული გადამხდელების იმედად ქართველი ნაციონალები იქ არ ცხოვრობენ. მაშინ, ბუნებრივია, ნაციონალებს გვერდითი შემოსავლის წყარო უნდა ჰქონდეთ. ეს კი ან კორუფციით ნაშოვნი ფული უნდა იყოს, ან „ამერიკელი პატრონები“ უნდა უზრუნველყოფდნენ. ან კიდევ ქართველების გაყვლეფის გზით საქართველოდან ოფშორებში გადასროლილი სახსრებით არსებობენ. ალბათ, დამეთანხმებით, რომ ეს უკანასკნელი ყველაზე მიამიტური ვარაუდია...**

**თეა მოსია**

**ყოფილი მაღალი თანამდებობის პირები, საქართველოში საჯარო მმართველობის განხორციელების პერიოდში, გაცილებით მაღალ შრომით ანაზღაურებას, პრემიებსა და დანამატებს იღებდნენ. ამიგომაც საჭიროა საზოგადოება ფლობდეს ინფორმაციას, საქართველოს ყოფილი ხელისუფლების წევრების უკრაინაში ყოფნა, რეალურად ემსახურება პოლიტიკური რეაბილიტაციის საკითხს, უკრაინაში რეფორმების გატარების ობიექტურ სურვილს თუ არაღიარებულ პოლიტიკურ თავშესაფარს. ფაქტი ერთია, უკრაინის ხელისუფლებაში საჯარო მოხელისთვის განკუთვნილი ანაზღაურება საარსებო შესაძლებლობებისთვის ძალიან დაბალია. ბევრი ქართველი ყოფილი თანამდებობის პირი მთელი საქმიანობის მანძილზე შრომით ანაზღაურებასაც არ იღებდა. უკრაინის სახელმწიფოს ბიუჯეტი არ უზრუნველყოფს არც ერთი მოქმედი თუ ყოფილი ქართველი თანამდებობის პირის უკრაინაში ცხოვრების ხარჯებს.**

# ილია ჭავჭავაძის ოცნების დარად...



## სამეგრელო საგურამოში

**ციკლიდან „დროის იეროგლიფები“**

**საგურამოში აველ და... სამეგრელო ვნახე.**

სამეგრელო — თავისი დიდი ქართველობით, თავისი მომხიბვლელობითა და კოლორიტულობით, თავისი სიტყვით, სიმღერით, ქანდაკებით...

განზრახვა ღრმა აღმოჩნდებოდა და მახვილგონივრული, მასშტაბური და შორს გათვლილი.

ილიას სიტყვა ჰკრებდა მთელს საქართველოს.

ახლა ილიას სახელმა უნდა შეკრიბოს და შეჰკრას, და არამარტო მორალურად და წარმოსახვით, არამედ — თვალით სახილველადაც, და ეს სახილველობა სად შეიძლება აღსრულდეს, თუ არა საგურამოში, იქ, სადაც ილიაობა აღინიშნებოდა ყოველწლიურად ილიას სიცოცხლეში, და ახლა ილიაობა ჩაფიქრებულია მთელი საქართველოს ნაკადულებრივ ჩამოდინებად ამ გარემოში, უკანასკნელი დღეები სადაც ჩაივლიდა იმ პიროვნებისა, რომლის სახელმწიფოებრივ-ეროვნულ მოძღვრებაზეც ვდგავართ დღეს და ვცდილობთ, შევინარჩუნოთ ის დამოუკიდებლობა, ურომლისოდაც არსებობა არა ღირს, როგორც მხოლოდ ფუჭი და მოჩვენებითი.

ყოველ 2 აგვისტოს საგურამოში თავს მოიყრიან ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მხარეები — თავთავიანთი წარმომადგენლების სახით.

და ამ ღრმააზროვანი პროექტის ხორცშესხმა დაიწყო სამეგრელოთი, და დაიწყო იმ დიდებულებით, ამ კუთხეს რომ შვენის და ამჯერად საგურამოშიც ხელშესახებად აირეკლა.

ანდრო ბედუკაძე, ილიას საგურამოს სახლ-მუზეუმის დირექტორი, ამ განზრახვის წამოწყებისათვის დაუკავშირდებოდა ჯერ მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორს ნუგზარ ყიფიანს, და მისი თანადგომით გულმოცემული შემდეგ უკვე ზვიად კვარაცხელიასაც, მწერალსა და მოღვაწეს, არაერთი კარგი და ღირსეული საქმის თაოსანს, ჯერ მარტო მისი იდეითა და უშუალო მონაწილეობით ლიტერატურული სერიებისა თუ ცალკეული წიგნების გამოცემა რად ღირს „ინტელექტსა“ და „არტანუჯში“, ამჯერადაც ჩვეული თავდადებით რომ მოეკიდებოდა საქმეს და... ამიტომაც აღმოჩნდებოდა დასაწყისი ასეთი შთამბეჭდავიც და შემაგულიანებელიც შესაფერისი გაგრძელებისათვის, თამასა ქვემოთ რომ აღარ შეიძლება დაეშვას და ამ სიმაღლიდან შეეცადონ სხვა კუთხეებიც თავის წარმოჩენას.

და ვინც 2 აგვისტოს საგურამოს ვესტუმრეთ... სამეგრელო ვნახეთ.

საქართველოს ერთი მშვენიერი ფერი განვიცადეთ.

კიდევ ერთხელ აღვივსეთ მხნეობითა და რწმენით, რომ ჯერ ყველაფერი არ დაგვიკარგავს და უეჭველად მოვექცევით საკაცობრიო საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენათა შუაგულში, როგორც კავკასიის ერთიანობის თაოსანნი, საქართველოს კუთხეების აქ ნათლობა ბუნებრივად რომ გაგრძელდება კავკასიელ ხალხთა თანდათანობითი შემომატებით — ყველა საკუთარ თვითმყოფადობასა და კოლორიტულობას, მომხიბვლელობასა და სულიერ სიჯანსაღეს რომ წარმოაჩენს.

დასაწყისი ამას მიგვანიშნებს.

შორს, დასალიერზე კავკასიური მთლიანობის ელვას გამოაკრთობს, ილია ჭავჭავაძის ნაოცნებარსაც.

იმ დღეს ილიაც ისე განვიცადეთ, როგორც მას შეჰფერის.

თორემ ლამის იმავე დღეში ჩავცვივდეთ, საუკუნის წინათ ვაჟა-ფშაველა თავგადაკლული რომ იცავდა ილიას სახელს ყვავ-ყორანთაგან: არ დაგითმობთ გასაქელავად, კვლავაც მის სახელსა და ბაირაღს მივყვებითო!..

თითქოს სასიკეთოდაა შეცვლილი იმჟამინდელი ვითარება — ყველგან ილიას სახელი გაისმის, ყველგან ილიას სურათი ჰკიდია, ყველგან მის მოსაზრებებს იმოწმებენ, მაგრამ... მოჩვენებითი უფროა ეს ყველაფერი, ვიდრე გულიდან ამომსკდარი, და ასეა მას შემდეგ, რაც ზვიად გამსახურდია ილიას მოძღვრებაზე დაყრდნობით აღადგენდა საქართველოს სახელმწიფოს.

მაშინ შევყურებდით ნამდვილი ილიას სახებასაც, დახსნილს გაყალბებისაგან, კომუნისტური რეჟიმი რასაც დამართებდა.

მისი სახელის ფრიალს ისინიც დაიწყებდნენ, მაგრამ...

მაშინ, საბჭოთა იმპერიის მძლავრების ხანაში, ილია იმ სალოცავს ჰგავდა, ნანგრევებად რომ გადარჩენილა, მაგრამ გრანდიოზულ ნანგრევებად — გუმბათი რომ გადახდილია და წვიმაც მოთქეშავს და თოვლიც უხვად დაედინება იატაკამდე.

ბაგრატის ტაძარს მოგვაგონებდა.

მერე კედლებიც შერემონტდებოდა, გუმბათიც დაეხურებოდა, მაგრამ...

ისევ ბაგრატის აღდგენილ ტაძარს დაემგვანებოდა მისი სახება — გრანდიოზულობას რომ დაკარგავდა.

და ეს იმიტომ, რომ გაპრიმიტიულდებოდა ილიას შეხედულებანი, მთავარი ძარღვი გამოეცლებოდა მის მოძღვრებას და ხელთ შეგვრჩებოდა გამოფშუკული თვალსაზრისები, ისიც შეკვეცილი და დროდადრო სულაც უადგილო ადგილას გაწყვეტილი.

ის გრანდიოზულობაა დასაბრუნებელი.

ამისთვის იმ ხელოვნური გუმბათის მოხდაც რომ დაგვჭირდეს.

კედლები ბოლომდე უნდა აიზიდოს და მერეღა მოგუმბათდეს, თანაც ნამდვილ ტაძარს როგორც შეშვენის, რაღაც მინამგვანით კი არა.

ეს სალოცავი კვლავაც გადასარჩენი გაგვხდომია, თუკი თავს არ მოვიტყუებთ და მოჩვენებითს რეალურში არ ავურევთ.

2 აგვისტოს ეს არავის დაგვემართებოდა, ვინც ილიას კარმიდამოში შევკრებილიყავით.

საგურამოში მივედით და... სამეგრელო კი ვნახეთ.

და იმ რწმენით განვიმსჭვალეთ, ძლიერი სახელმწიფოს შვილებს რომ ეკადრებათ, თუნდ ეს ძლიერება ჯერ შორს მოჩანდეს.

კანთიელად კი ელავს.

თვალსაჩინოდ კი აშუქებს.

ილია ჭავჭავაძის ოცნების დარად.

* * *

**ძალიან ნუ დაგწყდებათ გული, ვინც ამ 2 აგვისტოს საგურამოში არ შეხვდით.**

**ასეთი 2 აგვისტო წინ არაერთი გველოდება.**

მაშინ ვესტუმროთ აქაურობას, მაშინ ვიხილოთ, მაშინ განვიცადოთ.

მაშინ აღვივსოთ კიდევ ერთხელ ძლიერი საქართველოს რწმენით — ერთიანი კავკასიის შუაგულში წამომართულის თავისი მისიის აღსასრულებლად.

**როსტომ ჩხეიძე**

◎ ალიან-ჩალიანი

## კრწანისელ ბავშვებს ახალი ბაგა-ბაღი ექნებათ

**თბილისის** მერმა დავით ნარმანიამ კრწანისის რაიონში მე-20 მშენებარე საბავშვო ბაგა-ბაღი დაათვალიერა. თბილისის მერიის პრესსამსახურის ინფორმაციით, ღონისძიებას ესწრებოდნენ: მერის მოადგილე ირაკლი ლექვინაძე, ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელი თემურ თორდინავა, მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი გიორგი არეშიძე, კრწანისის რაიონის გამგებელი გიორგი კოპალეიშვილი და საკრებულოს მაჟორიტარი ბექა ნაცვლიშვილი.

900 კვ.მ მიწის ფართობზე ორსართულიანი, არასტანდარტული შენობის მშენებლობა 2015 წლის თებერვალში დაიწყო. ამ ეტაპზე შენობის შიდა სარემონტო სამუშაოები და გარე ფასადის მოწყობა მიმდინარეობს. ბაგა-ბაღში შეიქმნება აღსაზრდელთა 6 ჯგუფი. მთლიანობაში, ბაღი 250 ბავშვის სკოლამდელი განათლებით უზრუნველყოფას შეძლებს.

2002 წელს თბილისში მომხდარი მიწისძვრის შედეგად კრწანისის №21-ში მდებარე მე-20 საბავშვო ბაგა-ბაღის შენობა და ახლომდებარე საცხოვრებელი კორპუსი მძიმედ დაზიანდა. ბაღმა სააღმზრდელო პროცესი ნაქირავებ სახლში გააგრძელა.

იმავე ადგილზე საცხოვრებელი კორპუსისა და საბავშვო ბაგა-ბაღის ახალი შენობების ერთად აშენების ვალდებულება სხვადასხვა წლებში რამდენიმე კომპანიამ აიღო. თუმცა, ვალდებულება ვერ შესრულდა, რადგან საცხოვრებელი კორპუსი, თბილისის მერიის სასარგებლოდ, იპოთეკის ხელშეკრულებით იყო დატვირთული.

„ეს ტერიტორია დაყადაღებული იყო და ვერ ხორციელდებოდა ბაღის მშენებლობა. როგორც კი მოვედით ხელისუფლებაში, შევისწავლეთ მდგომარეობა და თებერვალში დავიწყეთ მშენებლობა. პროცესი შემოდგომაზე დასრულდება. პარალელურად, ახალი ინვენტარით აღიჭურვება და 250 აღსაზრდელისათვის განკუთვნილი ბაღი ჩაბარდება მოსახლეობას“, — განაცხადა დავით ნარმანიამ.

თბილისში, მე-20 ბაღის ჩათვლით, 6 საჯარო საბავშვო ბაგა-ბაღი შენდება.

## საქართველოდან 35 ქვეყანაში 16 810 187 ბოთლი ღვინოა ექსპორტირებული

**ღვინის** ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, 2015 წლის იანვარ-ივლისში საქართველოდან მსოფლიოს 35 ქვეყანაში ექსპორტირებული ღვინის ფასი თანხაში 47 589 654 აშშ დოლარს შეადგენს.

ღვინის ეროვნულმა სააგენტომ ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების ექსპორტის 7 თვის მონაცემები გამოაქვეყნა. ღვინის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, საანგარიშო პერიოდის მონაცემებით, ექსპორტის მატებაა ისეთ სტრატეგიულად მნიშვნელოვან ბაზრებზე, როგორებიცაა ყაზახეთი — 3% (2 533 596 ბოთლი), ჩინეთი — 35% (984 221), პოლონეთი 2% (921 828), ლატვია — 9% (663 714), ესტონეთი — 19% (242 130), აშშ — 20% (148 128), გერმანია — 17% (143 922), კანადა — 100% (120 180), იაპონია — 10% (90 194), საფრანგეთი 119% (28 638), კორეა — 221% (24 054) და სხვა. ექსპორტიორი ქვეყნების პირველი ხუთეული ასე გამოიყურება: რუსეთი — 8 477 635 ბოთლი, ყაზახეთი— 2 533 596, უკრაინა — 1 510 404, ჩინეთი — 984 221 და პოლონეთი —921 828.

ექსპორტის მთლიან რაოდენობაში ადგილწარმოშობის ღვინოების მიხედვით პირველი ხუთეული ასე გამოიყურება: „ქინძმარაული“ (წითელი ნახევრადტკბილი) — 2 398 077 ბოთლი, „მუკუზანი“ 779 324 (წითელი მშრალი), „წინანდალი“ (თეთრი მშრალი) — 542 858, „ახაშენი“ (წითელი ნახევრადტკბილი) და „ხვანჭკარა“ (წითელი ნახევრადტკბილი) — 199 710.

არასტაბილური პოლიტიკურ-ეკონომიკური მოვლენების გამო, 2 უმსხვილეს ექსპორტიორ ქვეყანაში — რუსეთსა (-59%) და უკრაინაში (-62%) ექსპორტის მკვეთრმა კლებამ ექსპორტის 7 თვის მონაცემებზე გავლენა იქონია, რომელიც 2014 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 46%-ითაა შემცირებული.

ამასთან ერთად, საანგარიშო პერიოდში 16 ქვეყანაში ექსპორტირებულია 3 263 119 ბოთლი (0,5 ლ) ბრენდი, რაც თანხაში 8 844 306 აშშ დოლარს აღწევს. მსოფლიოს 17 ქვეყანაში ექსპორტირებულია 62 942 (0,5 ლ) ბოთლი ჭაჭა, რაც გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 2%-ით აღემატება.

## ჰუმანიტარული დახმარება — სტიქიით დაზარალებულებს

**ვაკის** მუნიციპალიტეტის შენობაში საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებამ ვაკის გამგეობასთან ერთად ჰუმანიტარული დახმარების დარიგება დაიწყო. პირველადი მოხმარების ნივთები 13 ივნისის სტიქიის შედეგად დაზარალებულ 150 ოჯახს გადაეცემა.

როგორც საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების პრეზიდენტმა ნათია ლოლაძემ განაცხადა, ჰუმანიტარული დახმარება ერთ ოჯახზე მოიცავს ორ ცალ საბანს, ორ ცალ „პლედს“, 1 ყუთ სასურსათო ამანათს, 1 ყუთ ჰიგიენურ ამანათს, 2 ნაკრებ თეთრეულს და 1 ყუთ სამზარეულოს ნაკრებს. როგორც ვაკის გამგეობაში აცხადებენ, 13 ივნისის სტიქიის შედეგად დაზარალებული მოქალაქეების საჭიროება და ოჯახების აღრიცხვა, ვაკის გამგეობამ განსაზღვრა. მათივე ინფორმაციით, მსგავსი დახმარება, უკვე მეხუთე ეტაპია, ხორციელდება.

**ინტერპრესი**

◎ კონტაქტები

## ბელორუსი ჟურნალისტები ბათუმს სტუმრობენ

**აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მოწვევით, ბათუმში ბელორუს ჟურნალისტთა ჯგუფი იმყოფება. ბელორუსი სტუმრები ტურისტულად აქტიურ სეზონს და ზაფხულის აქტივობებს გააშუქებენ. მედია ჯგუფის შემადგენლობაში შედის როგორც ბეჭდური საშუალებების, ისე ტელევიზიისა და ინტერნეტ პორტალების ჟურნალისტები.**

**საინფორმაციო ტური 7 აგვისტომდე გაგრძელდება და მოიცავს ზღვაზე დასვენებასთან ერთად რეგიონში არსებული სხვა შესაძლებლობებისა და ტურისტული პოტენციალის გაცნობას. სტუმრები დაათვალიერებენ ქალაქის ღირშესანიშნაობებს, ბოტანიკურ ბაღს, მტირალას ნაციონალურ პარკს. გაეცნობიან ღვინის მარშრუტს, აჭარულ სამზარეულოსა და ტრადიციებს.**

**„2015 წლის იანვარ-ივნისის მონაცემებით აჭარის განთავსების ობიექტებში ბელორუსი ტურისტების 7,9 %-იანი ზრდა დაფიქსირდა. აპრილი-მაისის თვეში ტურიზმის დეპარტამენტმა ბელორუსიის ქალაქ მინსკში განახორციელა გარე რეკლამა ქალაქის ცენტრალურ ადგილებში და მეტროში. აჭარა-ბათუმის ტურისტული დესტინაციის შესახებ რეკლამა ბელორუსიის წამყვან რადიოებში ორი თვის მანძილზე ტრიალებდა. ამავდროულად, განხორციელდა რამდენიმე პრეს და ინფო ტური.**

**უახლოეს მომავალში დეპარტამენტი უმასპინძლებს ჟურნალისტებს ისრაელიდან და აზერბაიჯანიდან“, — ნათქვამია ინფორმაციაში.**

**ინტერპრესი**

◎ ეს ძალიან კარგია!

# „საკურორტო მძივის“ მარგალიტი – წყალტუბო

**ნებისმიერი ქვეყნისთვის, რომლისთვისაც ტურიზმისგან მიღებული შემოსავალი უცხოური ვალუტის შემოდინების სერიოზული წყაროა, ყოველი ახალი კურორტის გაჩენა დიდად მნიშვნელოვანი და სასიხარულო გარემოებაა. მით უმეტეს ისეთის, რომლის სახელი სულ რაღაც სამი-ოთხი ათეული წლის წინათ საქართველოს ფარგლებს შორს იყო გამცდარი. ლაპარაკია ქვეყნის, ასე ვთქვათ, „საკურორტო მძივის“ ჭეშმარიტ მარგალიტზე — წყალტუბოზე, რომლის განახლებული ინფრასტრუქტურა როგორც თავად იქაური მოსახლეობისთვის, ასევე ჩამოსული სტუმრებისთვის აგვისტოს ბოლოსთვის სრულად ჩადგება მწყობრში.**

ქალაქ წყალტუბოს სრული ინფრასტრუქტურული რეაბილიტაციის პროექტს ქვეყნის მუნიციპალური განვითარების ფონდი მსოფლიო ბანკის დაფინანსებით განახორციელებს. პროექტის მთლიანი ღირებულება დაახლოებით 38 მილიონი ლარია და სამუშაოები, რომლებზეც 500 კაცზე მეტია დასაქმებული, აგვისტოს მიწურულს უნდა დასრულდეს. ამასთან დაკავშირებით, მუნიციპალური განვითარების ფონდის წარმომადგენელთა განცხადებით, წყალტუბოს ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტის საკმაოდ დიდი მასშტაბისა და სპეციკიდან გამომდინარე, სამუშაოები ამჟამად კომპლექსურად მიმდინარეობს, ისინი, ფაქტობრივად, ერთმანეთისგან განსხვავებულ ცხრა პროექტს აერთიანებენ, რომელთა განხორციელება პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობს.

კონკრეტულად თუ ვილაპარაკებთ, ამჟამად ქალაქის ცენტრალურ პარკში დასვენებისა და გართობისთვის განკუთვნილი გარემო ახლებურად მოეწყო — აშენდა გრუნტისა და ბალახის საფარიანი ჩოგბურთის კეთილმოწყობილი, ასევე, მინი-გოლფისთვის განკუთვნილი და ბავშვების სათამაშო მოედნები, მოეწყო ყვავილების პიქსელები და ყვავილნარები, უამინდობისგან თავშესაფარი ფანჩატურები, დეკორატიული აუზები, მოცეკვავე შადრევანი, ოთხი ველოსიპედის სადგომი, საზაფხულო კაფე, მთელ ტერიტორიაზე დაიგო მიწის დონიდან აწეული ბილიკები.

წყალტუბოს მთლიანი ინფრასტრუქტურული რეაბილიტაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია ცივი ტბის ტერიტორიის კეთილმოწყობის პროექტი. მისი განხორციელების პროცესში, ცივი ტბის მიდამოებში აიგო ნავების პირსი, თანამედროვედ აღჭურვილი საცურაო აუზი, კაფე, ბუნგალო, ორი საფეხმავალო ხიდი, გაყვანილია წყლისა და გაზმომარაგების ქსელები, ნალექისგან გაიწმინდა ტბიდან წყლის გამყვანი არხები, ასევე გაიმართა ორი ჰიდროკვანძი. ცივ ტბაზე, ისევე როგორც წყალტუბოს ცენტრალურ პარკში, მოეწყო სარწყავი ქსელი და განახლდა მწვანე საფარი, გაიმართა საკანალიზაციო ქსელი.

თვალის ერთი გადავლებით, ჩატარებული სარეაბილიტაციო თუ სამშენებლო სამუშაოები თითქოს ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ მათი ასე დაწვრილებით ჩამოთვლა თვალნათლივ წარმოაჩენს იმას, თუ რა სავალალო მდგომარეობაში იყო ქალაქ წყალტუბოს ინფრასტრუქტურა ცოტა ხნის წინათ. ბუნებრივია, რომ ჩატარებული სამუშაოები მთლიანად ქალაქის მოსახლეობისთვის ბევრი ვერაფერი შეღავათია, მაგრამ ერთია, რომ ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია-განვითარება მომავალშიც

◎ ეს ძალიან ცუდია!

# ყვარელში ტურისტული სეზონი ჩავარდა?!

**კულტურის ცენტრად წოდებულ და წინა ხელისუფლების დროს გაპიარებულ ყვარელს რთული პერიოდი დაუდგა. ადგილობრივების თქმით, წინა წლებთან შედარებით, ყვარელში ტურისტების რაოდენობა მკვეთრად შემცირებულია, საგანგებოდ ტურისტებისთვის გახსნილი საოჯახო სასტუმროები კი — დაკეტილი. „კაცმა სიმართლე უნდა თქვას, წინა ხელისუფლება კარგი იყო თუ ცუდი, ყვარელი გაგვილამაზა, ინფრასტრუქტურა მოაწესრიგა, ტურისტებიც მრავლად ჩამოდიოდნენ. მათი სახით ადგილობრივ მოსახლეობას შემოსავლის ახალი წყარო გამოგვიჩნდა. ამიტომ, საოჯახო სასტუმროები გავხსენით, გვიხაროდა, სული მოვითქვით და უცებ, ყველაფერი გაჩერდა. ტურისტი სანატრელი გაგვიხდა. თითო-ოროლა ვინც კი ჩამოდის, ის ძვირადღირებულ სასტუმროს სტუმრობს. გაიარეთ და თქვენი თვალით ნახეთ, ყვარელი როგორ ჩაკვდა. რაც გაკეთებული იყო, ისიც მოსპეს,“ — ჩივიან ადგილობრივები.**

საოჯახო ტიპის სასტუმროს ფასები 25-დან 60 ლარამდე მერყეობს, რა თქმა უნდა, კვების გარეშე. ყვარელში დაახლოებით 3-4 მაღალი დონის სასტუმროა, რაც ადგილობრივების თქმით, ყველა ფენისთვის ხელმისაწვდომი არ არის. **„ყველა უცხოელი მილიონერი ხომ არ არის? ზოგს სულ არ სურს 5-ვარსკვლავიან სასტუმროში დასვენება. მათთვის მთავარია, ღირსშესანიშნავი ადგილები დაათვალიერონ და სასტუმროში მხოლოდ დასაძინებლად შემოდიან. წინა წლებში მართლა ბევრი ტურისტი ჩამოდიოდა. სხვათა შორის, ქართველებიც გვსტუმრობდნენ. ოჯახებით მოდიოდნენ. სლავები, აზერბაიჯანელები, ამერიკელები ჩამოდიოდნენ. ახლა სასტუმრო გამოკეტილი მაქვს. კანტიკუნტად თუ გამოჩნდება ვინმე, ისიც 1-2 დღით“,** — გვითხრა ერთ-ერთი საოჯახო სასტუმროს მეპატრონემ.

ადგილობრივები გაუმართავ ინფრასტრუქტურაზეც ჩივიან. ერთ დროს ახალგაზრდების თავშეყრის ადგილად ქცეული „9 აპრილის“ პარკი საღამოობით უკაცრიელია. პარკში ლამპიონების უმეტესობა ჩამსხვრეულია, განათება არ არის, ახლით შეცვლაზე კი რატომღაც არავის უფიქრია. სკვერში მოსასვენებელი სკამების უმეტესობა დამტვრეულია. ასევე, დამტვრეული და დაჟანგულია საქანელებიც.

ამ მხრივ უკეთესი ვითარება არც ილიას ტბაზე დაგვხვდა. დაახლოებით სამი წლის წინათ, ტბის მიმდებარე ტერიტორია ნამდვილ წალკოტად აქციეს — პარკში ხეები დარგეს, იქვე საბავშვო მოედნები და ჰამაკები გამართეს, მაგიდები და სკამები დადგეს. პარკში საბავშვო აუზი გაკეთდა, ტბის გარშემო კი ველოტრასა გაიყვანეს. სპორტის მოყვარულებისთვის პარკში ფეხბურთისა და კალათბურთის მინი მოედნებიც მოაწყვეს. თუმცა, იქ მისულს რადიკალურად შეცვლილი სურათი დამხვდა — დამტვრეული საქანელები, მოუვლელი პარკი, ხშირი ბალახები, ტბის ნაპირზე მიმოფანტული საყოფაცხოვრებო ნაგავი და მოუვლელი საზოგადოებრივი საპირფარეშო. ტბისკენ ჩამავალ კიბესთან აღმართული ბანერი სტუმარს აფრთხილებს არაფხიზელ მდგომარეობაში ბანაობის აკრძალვის შესახებ. სამწუხაროდ, მიმდინარე ზაფხულს ილიას ტბაში ნასვამ მდგომარეობაში ბანაობისას რამდენიმე ახალგაზრდა დაიხრჩო. **„რამდენიმე კვირის წინათ, ტბაზე ქარი ამოვარდა, ახალგაზრდა მამაკაცები წყლის ველოსიპედებით ტბის შუაგულში იყვნენ შესული, ყვიროდნენ, შველას ითხოვდნენ,**

## „მოსავალი სეტყვამ გაანადგურა, ტურისტებიც აღარ ჩამოდიან, ერთი სიტყვით, მძიმე წელი გველოდება“

**ნაპირზე გასვლას ვერ ახერხებდნენ. ერთი მაშველი არ იყო ტბის სანაპიროზე. ვიდექით და ვუყურებდით განწირულ ადამიანებს. თვითონვე იმარჯვეს და ნაპირამდე გამოაღწიეს, გადარჩნენ. სად იყვნენ ამ დროს მაშველები? რაში უსდიან ფულს? ვეღარ გაგვიგია,“** — ამბობენ ადგილობრივები.

**„უწინ საღამოობით, მეგობრები ტბაზე ხშირად ავდიოდით. სამსახურის შემდეგ იქ ყოფნა ერთგვარი განტვირთვა იყო, თუმცა ახლა იქაურობა ისეა ჩაბნელებული, დიდ მანძილზე მარტო სიარული სახიფათოც კი არის. თქვენც ხედავთ, აქვე ტყეა და გამორიცხული არ არის, ნადირი ჩამოვიდეს. ზაფხულობით აქ სულ ხალხმრავლობა იყო. ადგილობრივები, დამსვენებლები, ტურისტები, მიმდებარე სოფლებიდანაც კი ჩამოდიოდა ხალხი. 24 საათი პოლიცია პატრულირებდა, რომ რამე არ მოხმდარიყო. ახლა აღარც პოლიციაა და ხალხიც კანტიკუნტად დადის. აქაურობა ისეთი მოუვლელია, რომ გული გვწყდება,“** — სწუხს ადგილობრივი მანუჩარ იმერლიშვილი.

**„აქაურობა ჩაკვდა. ყვარელზე ვინმე ზრუნავს? ქალაქის ან ჩვენს სასიკეთოდ ვინმე რამეს აკეთებს? — არა! ერთეულები ათასებს შოულობენ, გლეხი ვის ახსოვს. განა ჩვენს ცხოვრებას ცხოვრება ჰქვია, მხოლოდ ვარსებობთ. ერთ დროს მდიდარ რაიონს, რომელიც ნახევარ საქართველოს ამარაგებდა პროდუქტებით, საქმე სამოწყალოდ გაუხდა. სამუშაო ადგილები არ არის. ამ ერთ გამგეობასა და იუსტიციის სახლში რამდენმა უნდა იმუშაოს? ახალგაზრდობა აქედან გარბის, ჩვენი ქალების უმრავლესობა საბერძნეთსა და იტალიაში წავიდა. იქ სიმწრით ნაშოვნი ფულით აქ 3-4-სულიან ოჯახებს ინახავენ,“** — ჩივიან ყვარლელები.

**მოსახლეობის ძირითადი შემოსავალი სოფლის მეურნეობაა. საზამთროს ბაღები, ატამი, ნესვი, სიმინდი — ეს იმ ძირითადი პროდუქტების ჩამონათვალია, რომლის რეალიზაციიდან შემოსული თანხით ადგილობრივები წლიდან წლამდე საზრდოობენ. თუმცა, ყვარლელების თქმით, წლევანდელი მოსავალი გაზაფხულზე მოსულმა თოვლმა წალეკა, უკვე აკვირტებული ხეხილი ყინვამ გაანადგურა, სეტყვამ კი დარჩენილი მოსავალიც გააფუჭა. „წელს ძალიან მძიმე წელი გველის. შარშანდელთან შედარებით, წელს ატმის მესამედსაც ვერ მოვკრეფთ, საზამთროს ბაღებშიც იგივე მდგომარეობაა, სეტყვამ ყველაფერი მოსპო. ზაფხულში, კახეთში პამიდორი 2, 50 ლარი და ბულგარული წიწაკა 2 ლარი რომ ეღირება, ზამთარში კარგს რას უნდა ველოდოთ? მგონი სულ დავიღუპეთ. ეს დალოცვილი ბუნებაც თითქოს ადამიანის წინააღმდეგ არის, მიწა მოსავალს არ გვაძლევს. გვალვა თუ სეტყვა მოსავალს ერთიანად აჩანაგებს, არადა, ზამთარში თა-**

გაგრძელდება, მეორე ის, რომ ამ აუცილებელი პირობების შეუქმნელად ტურისტებისა და დასასვენებლად ან სამკურნალოდ ჩამომსვლელი ხალხის მოზიდვა ძნელი საქმეა, მესამე მნიშვნელოვანი ასპექტი კი ისაა, რომ ამ სამუშაოებზე რამდენიმე ასეული ადგილობრივი მოსახლეა დაკავებული, რაც, დაგვეთანხმებით, საკმაოდ წონადი სოციალურ-ეკონომიკური არგუმენტია.

აღნიშნულ სამუშაოთა გარდა, ახლო მომავალში წყალტუბოს გაახალგაზრდავებაგაკოხტავებას დიდად მოუხდება საქალაქო თეატრისა და რკინიგზის სადგურის განახლებული შენობები, შეკეთებული და დეკორით გალამაზებული ხიდები და ძველი შადრევნები. ქალაქის იერსახეს ნამდვილად გაალამაზებს განახლებული გამგეობისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს შენობები, რომელთაგან ამ უკანასკნელისთვის განკუთვნილი ნაგებობა მანამდე შს სამინისტროს სამხარეო განყოფილებას ეკუთვნოდა. გაცილებით ლამაზი გახდება ღამის ქალაქი – საამისოდ დიდი მოცულობის სამუშაოები ჩატარდა სხვადასხვა სახეობის გარეგანათების გასამართავად.

წყალტუბოს საზოგადოებრივ-კულტურული და სპორტული ყოფისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია ასევე რეგიონული და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის“ მიერ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სტადიონის მშენებლობა, რომელიც მწყობრში წლის დამლევისთვის ჩადგება.

ამის მიუხედავად, არსებული ინფორმაციით, წყალტუბოს ამჟამადაც საკმაოდ მრავლად ჰყავს ტურისტი ისრაელიდან, რუსეთიდან, პოლონეთიდან, აზერბაიჯანიდან, სხვა ქვეყნებიდან, ამიტომ, ეჭვი არ არის, რომ ქალაქის რეაბილიტაციის პროექტის მთლიანად დასრულების შემდეგ მათი რიცხოვნობა გაცილებით უფრო გაიზრდება.

**ოთარ ტურაბელიძე.**
**წყალტუბო-თბილისი.**

---

**ვი რით ვირჩინოთ? მთავრობას კარგა ხანია გლეხები მიავიწყდა. ისინი თავიანთი ჯიბეების გასქელებაზე ფიქრობენ, ჩვენ კი, ჩვენი შრომით და წვალებით დღიური ლუკმა უნდა ვიშოვოთ,“** – ჩივიან ყვარლელები.

ადგილობრივებთან საუბრის შემდეგ, ყვარლის მუნიციპალიტეტის პოზიციით დავინტერესდით. სამწუხაროდ, ჩვენს შეკითხვებზე პასუხი ვერ მივიღეთ. ყვარლის გამგებელთან ილია მზექალაშვილთან დაკავშირება ვცადეთ, მაგრამ უშედეგოდ.

**სალომე გოგოხია.**

**რედაქციისგან: მართლაც შემაშფოთებელია ყვარლელთა გასაჭირი – თუ ეს მართალია!.. მაგრამ საკითხავია და დამაფიქრებელიც ის ფაქტი, რომ ტურისტებმაც პირი შეკრეს და აითვალისწუნეს კახეთის ეს ულამაზესი ქალაქი, რომელიც, როგორც წერილიდან ჩანს, ორიოდე წლის წინათ ყვაოდა და ტურისტულ მექად იყო გადაქცეული. საოცარი ისიცაა, რომ ის თითო-ოროლა ტურისტი, რომელიც ყვარელს სტუმრობს, ხუთჯერ ძვირ სასტუმროში ამჯობინებს დასვენებას, ვიდრე „კერძო სანატორიუმებში“. ისიც გასაკვირია, რომ კულტურის პარკებში და ცნობილ „ილიას ტბაზე“ ჩამსხვრეული ლამპიონები, დანგრეული სკამები, დაბინძურებული აუზები, გაჩანაგებული სკვერები თურმე ახალი ხელისუფლების ბრალია და არა ადგილობრივთა უსულგულობისა. თავად განსაჯეთ, ტბაზე გამოკრული ბანერი თურმე ყველას აფრთხილებს – „ნასვამ მდგომარეობაში ტბაში შესვლა აკრძალულიაო“, არადა, ხალხი მაინც შედის და მაშველების იმედზე არიან... ალბათ „მეოცნებე მთავრობის“ დანაშაულია, რომ ტბაში ნასვამებს უშვებენ. არადა, თითქმის ყველა სატელევიზიო პოპულარული არხი ათასგვარ შოუსა და გასართობ გადაცემას უჩვენებს ყვარლის ტბიდან... ეტყობა, ძველი ჩანაწერებია, „ბედნიერი მიშას“ დროინდელი. ჩვენს დაუდევრობას ხშირად სხვასაც ვაბრალებთ, მაგრამ ადგილობრივ ხელისუფლებას რომ მეტი ყურადღება და ინიციატივა გამოეჩინა, ნაციონალების მხარდამჭერი ზოგიერთი ყვარლელი ამდენი ტყუილის თქმას ვერ გაბედავდა!**

◎ ვერნისაჟი

# ვერანდიდან გავყურებ ნარიყალას ქონგურებს...

## შაბათი დღე თბილისის ოაზისში

თბილისი.

მზის და ვარდების მხარე. ჭადრების ხეივნები. მთაწმინდიდან მონაბერი სიო. ტყე-პარკები, მწვანებში ჩაბუდებული აღმოსავლურ-ევროპული თილისმა. უცხოელთა სანეტარო ადგილი...

მგონი ძალიან შორეულ წარსულში გადავედით და...

თბილისი.

აღმაშენებლის გამზირზე გაჩეხილი ჭადრები. ბუტაფორიად და „პოტიომკინის სოფლად“ ქცეული ძველი უბნები, გაკაფული ვაკის პარკი, მუშტაიდი, ასათიანის ბაღი, პატარ-პატარა ოაზისები, სმოგი, შუშა-ბეტონის ცათამბჯენებში ჩასმული ქალაქი,. სულ ახლახან წალეკილი და იავარქმნილი ვერეს ხეობა, ფულიანთა და უცხოელ ინვესტორთა ხუშტურებით გაჩანაგებულ-გავერანებული ბაღები, სკვერები...

სიცხემაც იმატა, მეწყერმაც, ჰაერიც დაბინძურდა და ეს ბაჯაღლოში ჩასმული მარგალიტი ბადახში „შირპატრებად“ ქცეულ ბიჟუტერიად გადაიქცა.

„ბოტანიკურის ქუჩას“ მივუყვები აბანოთუბნიდან. ისეთი ხვატია, შაბათის მათხოვრებიც გადაკარგულან სადღაც საჩრდილობლის ძებნაში, ღიაა მეჩეთის კარი, ახლადმოკირწყლული ქუჩა და გალამაზებული თბილისის აივნები ადუღებულ ქალაქს გადაჰყურებენ. ზევით, ასიოდ მეტრში, მართლაც ოაზისია, ასე რომ გვიკვირს და გვენატრება ერთდროს სიმწვანითა და სიგრილით განებივრებულ თბილისელებს.

არაბი ტურისტები მიუყვებიან აღმართს მომლოცველი დავრიშებივით, კაცები თანამედროვედ გამოწყობილან, ქალები – შავ-თეთრ ფარანჯებში ტრადიციისამებრ. ზემოდან ჩინელი ტურისტების (არცაა გასაკვირი – უკვე საქართველოს მოქალაქეების) ჯგუფმა დაიდაღმართა. იცინიან, თავიანთ ენაზე ჭყლოპინებენ. ბოტანიკურის შესასვლელთან მექორწინეები შეკრებილან სამახსოვრო სურათებს იღებენ.

ბაღის შესასვლელში დიდი ბანერი გამოუკრავთ – **„საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის თანამშრომლების და მათი ოჯახის წევრების მიერ შექმნილი ხელნაკეთი ნივთებისა და ნახატების გამოფენა“**. სწორედ იქ მიმეჩქარება.

გულახდილად გეტყვით და, რამდენიმე წელია, აქ არ ვყოფილვარ.

ადრე კი მახსოვს, რაც იყო, ჩემს სიჭაბუკეში.

ქალბატონ **ნინო გოცაძეს** თავის გუნდთან ერთად, მართლაც ედემის ბაღად უქცევია ერთ დროს საბჭოეთში აღიარებული და შემდგომ ავბედითი დროის გამო და ჩვენივე დაუდევრობით გაჩანაგებული ეს (არა მარტო დასასვენებელი პარკი) სამეცნიერო-კვლევითი დანიშნულების ტყე-პარკი. უნიკალური ხემცენარეების მოვლა-პატრონობა, სამეცნიერო სამუშაოები, პროფესიონალთა თავდადება (რა თქმა უნდა, არა მარტო სახელმწიფოს ხელშეწყობით) საუბრის სხვა თემაა და უფრო ძირფესვიანად შესასწავლ-გადმოსაცემი. იმედია, ამის საშუალებაც მომეცემა. ახლა ამ გამოფენის შესახებ მინდა, ორიოდ სიტყვა გითხრათ.

ქალბატონი ნინო გოცაძე საკუთარ ნამუშევრებთან.

ამდენი შემოქმედი თუ მუშაობდა ამ „თბილისურ ოაზისში“, მართლაც ვერ წარმოვიდგენდი. გემოვნებიანი, პროფესიონალების შექმნილი ტილოები, ესკიზები, გრაფიკა, ჭედურობა, ნაქარგები (ქალბატონი ნინო მორიდებით მაკვალიანებს ავტორთა შესახებ და სასხვათაშორისოდ მიმხელს – ეს მხატვრული ნაქარგები ჩემი ნამუშევრებიაო. ვერ ვიჯერებ, მაგრამ ფაქტია), ხატები, მოჩუქურთმებული ნაკეთობები. მართლაც საოცრებაა **ლუკა** და **დავით ქურდაძეების, ლევან, თორნიკე, შალვა, მარიამ, თეკლა, ანდრია მექერიშვილების, ლუკა აბულაძის, ნანა ყუბანეიშვილის, ლიანა გვენცაძის** და სხვათა და სხვათა ნამუშევრები (ბოდიშს ვუხდი სხვა შემოქმედთ, ყველას შესახებ მხოლოდ ქება ითქმის და მოწონება).

დარბაზის მეორე ოთახში შესანიშნავი ქართული სიმღერები ისმის – **თამარ გელიაშვილი** და **ნინო ლიქოკელი,** ვირტუოზი მეფანდურეები, მშვენიერი სიმღერითა და მუსიკით გვატკბობენ. დღეს მათი სტუმრები **შინდისის დედათა მონასტრის დედაოები** და გლდანის რაიონის გამგებლის მოადგილე ქალბატონი **ნანა ციმაუკურიძე** არიან. ბაღის თანამშრომელი ქალბატონი **ელისაბედ ჯავახიშვილი** თავისი შესანიშნავი პოეზიით ატკბობს დამსწრეთ.

უცებ ივსება შთაბეჭდილებათა წიგნი.

გვიანობამდე გრძელდება პოეზიის, სიმღერის, მუსიკისა და ხელოვნების ზეიმი.

თბილისი ისევ ზაფხულის ხვატს ებრძვის.

ვერანდიდან გავყურებ ნარიყალას ქონგურებს. ალბათ, ამ ლამაზი გოგობიჭების წინაპრები აქ მედგრად ებრძოდნენ ათას ურჯულო მომხვდურს, მაშინ სხვა ხვატი სწვავდა ბებერ თბილისს.

არაბების ჯგუფი წავკისის ხევს გადაჰყურებს. ახლა, ზაფხულში მოწანწკარე მაჯის სიმსხო წავკისის წყალი (ღმერთმა არ ქნას და არ გაგიჟდეს, თორემ მისი დატრიალებული ტრაგედია ყველამ ვუწყით) მათთვის წყალუხვი მდინარეა. უცებ ჭრელ ფარდაგებს შლიან და ლოცვად ეცემიან, ნამაზმა უწიათ. კარგა ხანს ლოცულობენ ასე ქართული სიმღერის აკომპანიმენტის თანხლებით. გერმანელი ტურისტები მორიდებით უცქერენ.

ჩვენ არ გვიკვირს. ან რა უნდა გაგვიკვირდეს, როცა ორ ნაბიჯზე მეჩეთია, მარცხნივ სინაგოგა და სიონი, ზევიდან კი წმინდა ნიკოლოზის ეკლესია დაგვყურებს ნარიყალიდან.

მართლაც, საოცარი ქალაქია თბილისი.

ამ ხვატში კი, განსაკუთრებით, „თბილისური ოაზისი“.

**მამუკა ვაშაკიძე.**

პოეტი ელისაბედ ჯავახიშვილი

## ◎ ამერიკა თეთრკანიანზე გადასვლას ფიქრობს!..

**ამერიკაში საპრეზიდენტო კანდიდატებს შორის „რესპუბლიკელებიდან“ მილიარდერი დონალდ ტრამპი, „დემოკრატებიდან“ კი ჰილარი კლინტონი ლიდერობენ. ამის შესახებ „ბი-ბი-სი“ იუწყება.**

**სააგენტო „როიტერის“ გამოკითხვის თანახმად, აღმოჩნდა, რომ ტრამპისთვის ხმის მისაცემად მზად არის ამომრჩეველთა 25%, რაც ორჯერ მეტია, ვიდრე მისი კონკურენტის ჯებ ბუშის მონაცემები. ბუშისთვის ხმის მიცემას გამოკითხულთა მხოლოდ 12% აპირებს.**

აღსანიშნავია, რომ დონალდ ტრამპი ივნისის დასაწყისში ჩაერთო საარჩევნო მარათონში, თუმცა, მაშინ ტრამპისთვის ხმის მიცემას მხოლოდ 2% გეგმავდა. ამერიკელი მეწარმე და მილიარდერი დონალდ ტრამპი რომ სერიოზულად იყო დაინტერესებული პოლიტიკით, ამას ჯერ კიდევ 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნები მოწმობდა, სადაც ტრამპი მონაწილეობას გეგმავდა, თუმცა, არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე საკუთარი კანდიდატურა მოხსნა და განაცხადა, რომ ბიზნესიდან წასვლისთვის მზად არ იყო.

# ვინ მოვა ობამას შემდეგ?..

ამერიკის 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნები კი დონალდ ტრამპის გარეშე არ ჩაივლის. ერთი პერიოდი, დონალდ ტრამპისა და სააკაშვილის ინტერესები ერთმანეთს დაემთხვა. სააკაშვილით „მოხიბლული“ ეს უძრავი ქონების ამერიკელი მაგნატი 2012 წელს ბათუმსაც ეწვია და 47-სართულიანი ცათამბჯენის — „ტრამპ თაუერის“ პროექტის პრეზენტაციასაც დაესწრო. იმ პერიოდში სააკაშვილმა და ტრამპმა ერთმანეთის მიმართ საქები სიტყვები უხვად დააფრქვიეს. სააკაშვილმა მაგნატს „მსოფლიოს ყველაზე დიდი მშენებელი და ყველაზე დიდი დეველოპერი“ უწოდა, რომელმაც რეალურად ახალი ამერიკა ააშენა, ხოლო ტრამპმა სააკაშვილის მიერ შესრულებული „გასაოცარი“ სამუშაო და საქართველოს საინვესტიციო შესაძლებლობები შეაქო. შემდეგ, ორი მსოფლიო დონის აფერისტის ეს ცარიელი სიტყვები ჩვეულებრივ ტრაბახად დარჩა და ყველას მიავიწყდა...

როგორც ამბობენ, ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებში ერთ-ერთი სოლიდური შანსი, ასევე, „რესპუბლიკური პარტიის“ პრეზიდენტობის კანდიდატს, ფლორიდის ყოფილ გუბერნატორს, ჯებ ბუშს — ჯორჯ ბუშის ძმას ექნება.

თუმცა, ყოფილ სახელმწიფო მდივანსა და ყოფილ პირველ ლედის, ჰილარი კლინტონსაც მეტად მყარი პოზიციები აქვს.

**როგორი იქნება ამერიკა ობამას შემდეგ? შესაძლოა, ამ თემაზე დღეს ნაადრევია მსჯელობა, მაგრამ საინტერესოა, ვისი გამარჯვება უფრო მომგებიანი იქნება ქართველებისთვის, ე.წ. ქორების ფრთის, ანუ „რესპუბლიკელების“ რადიკალური ფრთის, თუ შედარებით ზომიერი ფრთის?**

მართალია, ობამა დემოკრატთა „ნომინაციით“ გავიდა საპრეზიდენტო არჩევნებში, მაგრამ მას ხშირად უწუნებენ იზოლაციონისტურ პოლიტიკას. ამას გარდა, ობამას მეტად საჩოთირო ფაქტსაც უხსენებენ, როცა შემთხვევით ჩართულ მიკროფონში ყველამ გაიგო მისი ნათქვამი რუსეთის მაშინდელი პრეზიდენტის, დიმიტრი მედვედევის მიმართ, „გადაეცით ვლადს (ვლადიმერ პუტინს), რომ ჩემი მეორედ არჩევისას უფრო მოქნილი ვიქნები თქვენს მიმართ“. სწორედ ობამას დროს წასწიეს თავიანთი პოზიციები რუსებმა უკრაინის ტერიტორიაზე. ასე რომ, მისმა გადატვირთვის პოლიტიკამ ცუდი შედეგი გამოიღო.

„დემოკრატიული პარტიის“ კანდიდატს ჰილარი კლინტონს, რომელიც 2008 წელს შიდა პარტიული არჩევნებისას ობამას წინააღმდეგ რთულ კამპანიაში მონაწილეობდა და დამარცხდა, ამჟამად წარმატებას უწინასწარმეტყველებენ. ჰილარი კლინტონს პატივსაცემ კანდიდატად მოიხსენიებენ, რომლის შესახებაც, ისევე, როგორც ბილ კლინტონის ირგვლივაც მედიამ უკვე იმდენი რამ იცის, ახალი სკანდალის გამოძებნის შანსიც კი აღარ არსებობს.

ექსპერტი **გია ხუხაშვილი** For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ ამერიკის საპრეზიდენტო მარათონში დონალდ ტრამპის საკითხს ცოტა სკეპტიკურად უყურებს, რადგან ფიქრობს, რომ ეს არის „რესპუბლიკელების“ ერთგვარი მონახაზი, რათა წინა პლანზე გამოუშვან დონალდ ტრამპი, რომ მან მთელი ნეგატივი აკრიფოს და შემდგომში, სხვა რეალური კანდიდატი დაასახელონ. ექსპერტი თვლის, რომ დონალდ ტრამპი თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო ვერ გახდება „რესპუბლიკური პარტიის“ საბოლოო კანდიდატი, რომ საკმაოდ ოდიოზურად გამოიყურება, მისი გამარჯვება ვიზუალური არასტაბილურობის შთაბეჭდილებას შექმნის საერთაშორისო პოლიტიკაში და ამერიკელები ამას არ დაუშვებენ.

რაც შეეხება ჰილარი კლინტონს, გია ხუხაშვილს ახსენდება ამ ქალბატონის ემოციური დამოკიდებულება მიხეილ სააკაშვილის მიმართ. ეს არ იყო მაინცდამაინც კარგი დამოკიდებულება, რაც სააკაშვილის ექსცენტრულობიდან გამომდინარე, ლოგიკურიც იყო. წმინდა ემოციურ, ადამიანურ დონეზე სააკაშვილის მიმართ კლინტონის დამოკიდებულება კარგი არ ყოფილა, მაგრამ, თუკი საქართველოს პოლიტიკურ კონიუნქტურასთან მიმართებით ვაშინგტონში პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს მიიღებენ, ჰილარი კლინტონიც თავისუფლად გადალახავს სააკაშვილისადმი თავის პირად უარყოფით დამოკიდებულებას. ასე რომ, საბოლოოდ ეს არაფერს ნიშნავს, რადგან, სააკაშვილი შეიძლება ცუდი ბიჭია, მაგრამ, ამერიკელების აზრით, სააკაშვილი მაინც მათი **ცუდი ბიჭია** და, თუ შეერთებული შტატების სტრატეგიულმა ინტერესებმა აჩვენა, რომ სააკაშვილი მათ ისევ სჭირდებათ, მას მიუსადაგებენ ტერმინს „ის ჩვენი ძაღლიშვილია“.

**„ვინც არ უნდა გახდეს შეერთებული შტატების პრეზიდენტი, ყველაფერს განსაზღვრავს, თუ რა მიმართულებას აიღებს გლობალური პოლიტიკა და დაპირისპირება რუსეთსა და შეერთებულ შტატებს შორის. ფრონტის ხაზზე უფრო მეტი სიმძაფრე შემოვა, თუ საქართველო გადაიქცევა ამ ორ ქვეყანას შორის ხურდა ფულად, ამას დრო გვიჩვენებს. კი ბატონო, შეიძლება, ე.წ. ქორების წარმომადგენელი — მაკკეინი უფრო ღიად უჭერდეს მხარს მიხეილ სააკაშვილს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მეორე მხარე სააკაშვილს ამოაგდებს პოლიტიკური კონტექსტიდან. შეერთებულ შტატებს საქართველოში აქვს თავისი ინტერესები და ეს ინტერესები უნდა გაატაროს, მიუხედავად იმისა, რომელი პარტია იქნება შტატების სათავეში“,** — აღნიშნა გია ხუხაშვილმა.

პოლიტოლოგი **ვახტან ძაბირაძე** აცხადებს, რომ, ზოგადად, საქართველოსთვის აჯობებს, ამერიკის ე.წ. ქორების ფრთა უფრო წინა პლანზე იყოს წამოწეული, ვიდრე ლიბერალური ფრთა, რადგან რუსეთთან არსებული პოლიტიკის კიდევ უფრო გამძაფრება უფრო მომგებიანი იქნება არა მარტო ჩვენთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის.

**„ვინ გავა ფინალში — „რესპუბლიკელი“ თუ „დემოკრატი“, ეს კიდევ საკითხავია. სტრატეგიული თვალსაზრისით, ამერიკის საგარეო პოლიტიკა დიდ და კარდინალურ ცვლილებას საგარეო ურთიერთობებში არ განიცდის; მით უმეტეს, — არ განიცდის ჩვენნაირ ქვეყნებთან მიმართებით. უფრო მოსალოდნელია ცვლილებები ამერიკა-რუსეთის ურთიერთობაში. თუ გავითვალისწინებთ, რომ ტრადიციულად „რესპუბლიკელები“ უფრო კატეგორიულები არიან საგარეო პოლიტიკაში და უფრო ემხრობიან ძალის პოლიტიკას, ვიდრე „დემოკრატები“, სპრეზიდენტო მარათონში გამარჯვების შეთხვევაში, ვერც „რესპუბლიკელები“ გამოიჩენენ სიმკაცრეს რუსეთთან მიმართებით. ზუსტი პარალელი არაა, მაგრამ მახსენდება კარტერი-რეიგანის პერიოდი. მაშინ, როდესაც საბჭოთა ჯარები შევიდნენ ავღანეთში, ჯიმი კარტერმა ოლიმპიადაში მონაწილეობა არ მიიღო, ხოლო შემდეგ მოვიდა რეიგანი, რომელიც რადიკალური არ იყო, მაგრამ, კარტერისგან განსხვავებით, შეძლო ის, რომ მთელი დასავლეთის პოლიტიკური წრეები გააერთიანა. დღეს ევროპას გაცილებით უფრო უჭირს, ვიდრე მაშინ ავღანეთთან მიმართებით, თუნდაც იქიდან გამომდინარე, რომ ყირიმი და უკრაინა ევროპის ნაწილია. ავღანეთი მაინც შორს იყო და საომარი მოქმედებები შორეულ ავღანეთში მიმდინარეობდა, დღეს კი საომარი მოქმედებები ევროპის შუაგულში მიმდინარეობს. ევროპა თვითონ არის მოტივირებული, რომ რაღაცნაირი კოალიცია ჩამოაყალიბოს. ამიტომ არა მგონია, „რესპუბლიკელების“ მოსვლა უფრო რადიკალური იყოს რუსეთთან მიმართებით, ვიდრე დღევანდელი „დემოკრატები“ არიან“,** — აცხადებს ვახტანგ ძაბირაძე.

დონალდ ტრამპისა და სააკაშვილის ურთიერთობის თაობაზე პოლიტოლოგი თვლის, რომ საქართველოში ტრამპის ჩამოსვლა და სააკაშვილთან ერთობლივი პროექტები არ არის მნიშვნელოვანი, რადგან თუ ამ ფაქტს ბიზნესის კუთხით შევხედავთ, ბიზნესში ჩვეულებრივი ამბავია პარტნიორების ცვლა. ამიტომ სააკაშვილის პერსონის გათეთრება, ასი ტრამპიც რომ იყოს ერთად, მათაც არ შეუძლიათ.

რაც შეეხება ბუშების დინასტიას, პოლიტოლოგს ახსენდება მამა ბუშის ნათქვამი, რომ ის საბჭოთა კავშირს ერთიანად განიხილავს, მაგრამ, როგორც კი საბჭოთა კავშირი დაიშალა, ბუშმა აღიარა საქართველო.

**მანანა ნოზაძე**

## დედამიწის ზურგზე

**რუსეთმა აშშ-ს მიაწოდა პირველი ორი სარაკეტო ძრავა РД-181**

**თავდაპირველად ვარაუდობდნენ, რომ ძრავები ადრე დადებული კონტრაქტების ფარგლებში უნდა მიეწოდებინათ ივნისში, მაგრამ დაკვეთის შესრულების ვადა გადაიდო ერთი თვით. შეთანხმების პირობების თანახმად, 2015 წელს რუსეთი ამერიკის შეერთებულ შტატებს მიაწოდებს ოთხ РД-181-ს და კიდევ ოთხს — 2016 წელს.**

* * *

**ეუთომ გვაცნობა შეიარაღებული ადამიანების შესახებ დონბასში, რომლებიც თავს რუს მედესანტეებად ასაღებენ**

**„შეიარაღებული მამაკაცი, რომელიც ერთ-ერთ ობიექტს იცავდა (ადგილობრივ სეპარატისტებს რომ ეკუთვნით), ამტკიცებდა, რომ ის და სხვებიც, ვინც იქ იმყოფება, შედიან მე-16 საჰაერო სადესანტო ბრიგადის შემადგენლობაში ორენბურგიდან“, — ნათქვამია ეუთოს ანგარიშში დონეცკის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე მძიმე შეიარაღების შენახვის ადგილების დაგეგმილი ინსპექციის დროს.**

* * *

**ყირგიზეთის სამხრეთში ლენინის პიკის დაპყრობის დროს სამი რუსი ალპინისტი დაიღუპა**

**ყირგიზეთის შეიარაღებული ძალების საჰაერო თავდაცვის შვეულმფრენებმა განახორციელეს გაფრენები ბატკენის ოლქში რუსეთის ფედერაციის სამი დაღუპული ალპინისტის სხეულების ევაკუაციის მიზნით ლენინის პიკის რაიონში და პოლონელი ალპინისტისა, რომელიც ბატკენის ოლქის კადამჟაის რაიონში დაიღუპა, განაცხადეს ქვეყნის გენერალურ შტაბში.**

* * *

**მარია გაიდარმა, რომელიც სააკაშვილის მოადგილე გახდა ოდესის ოლქში, მიიღო უკრაინის მოქალაქეობა**

**ადრე გაიდარი აცხადებდა, რომ არ სურს, უარი თქვას რუსულ პასპორტზე, მაგრამ გააკეთებს ყველაფერს „ისე, როგორც უკრაინის კანონის მიხედვითაა საჭირო“.**

* * *

**აშშ-ში ძლიერი ქარისგან გადაყირავებული კარავი უკვე ზედიზედ მეორე დღეა, ადამიანთა დაღუპვის მიზეზი ხდება**

**ცირკის ბაზრობაზე ამერიკის ქალაქ ლანკასტერში ნიუ-ჰემპშირის შტატში ძლიერი ქარის გამო ხალხს თავს დაეცა კარავი. ეს ამბავი მოხდა პირდაპირ წარმოდგენის დროს. ორი კაცი დაიღუპა, კიდევ სულ ცოტა 15 დაშავდა.**

◎ სად არის ვილაიეთი „გურჯისტანი?“

# თბილისი-გორის მაგისტრალი და ისლამური ხალიფატი

**ალიანსი მხარს უჭერს თურქეთის სამხედრო ოპერაციას სამხრეთის საზღვრის გასწვრივ წესრიგის აღდგენის მიზნით. ბრიუსელში გამართულ სამიტზე, რომელზეც ნატოს წარმომადგენლებმა თურქეთის მიერ „ისლამური სახელმწიფოსა“ და ქურთების წინააღმდეგ სამხედრო ქმედებები განიხილეს, ალიანსის გენერალურმა მდივანმა აღნიშნა, რომ ნატო ძალიან ყურადღებით აკვირდება ვითარებას და სოლიდარულია თურქი პარტნიორების მიმართ.**

თავის მხრივ, ქურთები, რომლებიც „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ იბრძვიან, თურქეთს თავიანთი პოზიციების დაბომბვაში ადანაშაულებენ და ამტკიცებენ, რომ თურქეთის ბრძოლა „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ სინამდვილეში ქურთების წინააღმდეგ ბრძოლაა. თურქეთის პრეზიდენტის რეჯიფ თაიფ ერდოღანის განცხადებით ირკვევა, რომ თურქეთს არ შეუძლია ქურთებთან სამშვიდობო პროცესების გაგრძელება იმის გამო, რომ ქურთი მებრძოლები თავდასხმებს ახორციელებენ.

უსაფრთხოების საკითხებში ექსპერტი ვახტანგ მაისაია ამბობს, რომ მეზობელ სახელმწიფოში სამარი მოქმედება პრაქტიკულად დაწყებულია. მისივე თქმით, თურქეთში მიმდინარე პროცესები შესაძლოა საქართველოზეც აისახოს და არსებობს რისკი იმისა, რომ „ისლამური ხალიფატი“ უკვე საქართველოში და კავკასიაში გააქტიურდეს.

როდის შექმნა „ისლამურმა ხალიფატმა“ ახალი ვილაიეთი გურჯისტანი, რა კავშირი აქვს მას საქართველოსთან და ერთვება თუ არა ალიანსი ღიად საომარ მოქმედებებში? ამ საკითხებთან დაკავშირებით **ვახტანგ მაისაია** გვესაუბრება:

— რთული სიტუაციაა. შეიძლება ითქვას, რომ საომარი მოქმედება დაწყებულია. თურქეთის შეიარაღებული ძალების მთავარი მოწინააღმდეგეა „ისლამური ხალიფატი“ და ქურთისტანის მუშათა პარტია. თურქეთი ორ ფრონტზე იბრძვის. როგორც ჩანს, ერდოღანი აპირებს, საომარ მოქმედებებში ჩართვა შიდა პოლიტიკური პროცესების დარეგულირებისთვის გამოიყენოს. მან პირდაპირ განაცხადა, რომ ქურთ დეპუტატებს მოუხსნის იმუნიტეტს და შეიძლება გააუქმოს დეპუტატის მანდატიც.

**— ცნობილია, რომ თურქეთი თავს იკავებდა სირიის კონფლიქტში და „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართვისგან. ანალიტიკოსები თვლიან, რომ თურქეთის მთავრობის გადაწყვეტილება პირდაპირ კავშირშია ორშაბათს განხორციელებულ ტერორისტულ აქტთთან, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ეს არ იყო პირველი შემთხვევა. დღეს რითი აიხსნება ერდოღანის გადაწყვეტილება?**

— გეთანხმებით, ერთი მხრივ, უცნაურია თურქეთის გადაწყვეტილება, მაგრამ, მეორე მხრივ, თუ თვალს გადავავლებთ თურქეთში არსებულ პოლიტიკურ კრიზისს, სავსებით ლოგიკურია ის, რაც ხდება. როგორც ჩანს, ერდოღანმა გამოიყენა ბოლო დროს განხორციელებული ორი ტერორისტული აქტი, რადგან თურქეთში არის პოლიტიკური კრიზისი, მთავრობა პრაქტიკულად არ არის ჩამოყალიბებული, პარლამენტში უმრავლესობა არ შედგა და, ფაქტობრივად, ქვეყანაში ღრმავდებოდა პოლიტიკური კრიზისი. აქედან გამომდინარე, როგორც ჩანს, მმართველი ძალა შეეცადა, შექმნილი ვითარება გამოეყენებინა შიდა პოლიტიკური პროცესების მართვისთვის.

გარდა ამისა, გაჟონა ინფორმაციამ, რომ „ისლამური ხალიფატის“ პოლიტიკური ლიდერის მკვლელობის შემდეგ, რომელიც ამერიკული სპეცდანიშნულების რაზმის მეომრებმა მოკლეს, აღმოაჩინეს საინტერესო დოკუმენტი, რომელიც ადასტურებდა თურქეთისა და „ისლამური ხალიფატის“ თანამშრომლობას, სულ მცირე, ნავთობის მიმართულებით. შეიძლება ამანაც უბიძგა ერდოღანის მთავრობას, რომ ჩართულიყო საბრძოლო ოპერაციაში. იმის გამო, რომ თურქეთის მთავარ მოკავშირეს, აშშ-ს არ გაჩენოდა კითხვები.

— რაც მთავარია, ამჟამად თურქეთი იყენებს ისრაელის მოდელს, ანუ რაც ისრაელმა გააკეთა ლიბანში, იგივეს აკეთებს თურქეთიც, და აპირებს, შექმნას უსაფრთხოების ზონა. ანუ შექმნას ის ზონები, საიდანაც თურქეთის ტერიტორია დაცული იქნება „ისლამური ხალიფატისა“ და ქურთების მუშათა პარტიის თავდასხმებისგან.

**— თუმცა, ქურთების მხარდამჭერი „დემოკრატიული სახალხო პარტიის“ ლიდერი ამბობს, რომ ჩრდილოეთ სირიაში უსაფრთხოების ზონის შექმნა, რასაც ანკარა და ვაშინგტონი ცდილობენ, ქურთების მიერ საკუთარი ტერიტორიის კონტროლის წინააღმდეგაა მიმართული. მაშინ, როდესაც ერდოღანი ამბობს, რომ მანდატებს ჩამოართმევს ქურთ დეპუტატებს. ამით ერდოღანი ცდილობს თუ არა წინასაარჩევნოდ მისი რეიტინგის აწევას?**

— ერდოღანის პოლიტიკური მიმართულებები საკმაოდ ამბიციური და არაერთგვაროვანია. როგორც ჩანს, ეს პროცესები დაკავშირებულია არჩევნებთან. თურქეთისთვის ახლა ძალიან მნიშვნელოვანია შიდა პოლიტიკური გარემო და შექმნილი ვითარების დარეგულირება. ერდოღანი ცდილობს, რომ ის პოლიტიკური მარცხი, რომელიც მან განიცადა ამ არჩევნებზე, ასეთი ქმედებებით დააკომპენსიროს

**— მით უმეტეს, როდესაც ამბობს, რომ თურქეთს ქურთებთან სამშვიდობო პროცესის გაგრძელება აღარ შეუძლია, ეს განცხადება მან ბრიუსელში გააკეთა...**

— ანუ, ის მორატორიუმი, რომელიც არსებობდა ქურთების მუშათა პარტიასთან, დარღვა. ფაქტობრივად, თურქეთი დადგა საკმაოდ მძიმე დილემის წინაშე. იმიტომ, რომ ხალიფატი და ქურთების მუშათა პარტია საკმაოდ ძლიერი გამოწვევაა თურქებისთვის. ქურთებმა უკვე შეუტიეს სტრატეგიულ მიმართულებებს. გარდა ამისა, „ისლამურ ხალიფატს“ საკმაოდ ძლიერი მომხრეები ჰყავს თურქეთში. ასე რომ, არც თუ ისე მარტივი მდგომარეობაა. თურქებს ორი მოწინააღმდეგე ჰყავთ და ორივე სერიოზული ძალაა. როგორ განვითარდება პროცესები, ეს საკმაოდ რთულად პროგნიზირებადია.

**— თუმცა, ფაქტია, რომ თურქეთის მთავრობას სრულ მხარდაჭერას უცხადებს ალიანსი. შეიძლება თუ არა, რომ ალიანსის მხარდაჭერა აისახოს იმით, რომ ჩაერთოს სახმელეთო ოპერაციაში?**

— ნატომ გამოხატა პოლიტიკური მხარდაჭერა, მაგრამ ეს ვერაფერს ვერ წყვეტს. არ მგონია, ალიანსმა სამხედრო დახმარება გაუწიოს თურქეთს, ეს გამორიცხულია. ერთია, რომ შეიძლება ამერიკულმა სამხედრო თვითმფრინავებმა დაბომბონ ხალიფატის რაიონები თურქეთის ტერიტორიაზე, რასაც თურქეთი ადრე აჭიანურებდა და კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ისლამური ხალიფატის ბაზის დაბომბვას. ნატო სამხედრო ოპერაციას ვერ დაიწყებს იმიტომ, რომ ძალიან გართულდება ამ საკითხზე ალიანსის შიგნით კონსენსუსის მიღწევა.

**— რამდენად აისახება მეზობელ სახელმწიფოში მიმდინარე პროცესები საქართველოზე?**

— თუ ვითარება გართულდა, ეს შეიძლება საქართველოზეც აისახოს. „ისლამური ხალიფატი“ შეიძლება გააქტიურდეს უკვე საქართველოში და კავკასიაში. ბოლო ინფორმაციით, „ისლამურმა ხალიფატმა“ ახალი ვილაიეთი, გურჯისტანი შექმნა, რომელიც უშუალოდ საქართველოზეა მიბმული. ასე რომ, საკმაოდ რთული სიტუაციაა. არ დაგავიწყდეთ, რომ თურქეთის არმიის შეჭრა სირიაში მარტო ხალიფატისა და ქურთების წინააღმდეგ არ იქნება მიმართული, ამ შემთხვევაში უკვე ოფიციალურად ერთვება თურქეთი ასადის რეჟიმის წინააღმდეგ ომში.

**— რომელშიც ასევე ჩაერთვება რუსეთი, ის ხომ მხარს უჭერს ასადის რეჟიმს...**

— რა თქმა უნდა! და ამ შემთხვევაში რუსეთი გადაკეტავს თბილისი-გორის მაგისტრალს. რაშიც უკვე ეჭვი არავის ეპარება, რადგან თურქეთი კონფრონტაციაში შედის მესამე ძალასთან.

ესაუბრა
**თამთა ქარჩავა**

# განცხადება
## აუქციონის ჩატარების შესახებ

შპს „ვარდნილჰესების კასკადი“ (იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქ №8 III-სართ. ფაქტიური მდებარეობა აფხაზეთი, გალის რ-ნი დას. რეჩხი), შპს „ენგურჰესის“ დირექტორთა საბჭოს 2015 წლის 5 მაისის №5 სხდომის ოქმის გადაწყვეტილების შესაბამისად, ნაწილობრივ ამორტიზირებული ძირითადი საშუალებების რეალიზების მიზნით (ავტოსატრანსპორტო), აცხადებს აუქციონს ქვემოთ ჩამოთვლილ ქონებაზე:

| # | დასახელება | ნომერი | გამოშვების წელი | საწყისი ფასი | „ბე“-ს ოდენობა | ბიჯი | ბილეთის ფასი | მდებარეობა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
| 1 | ტოიოტა ტაკომა | SSD-242 | 1997 | 6300 | 600 | 65 | 20 | გალი |
| 2 | შევროლე ლაცეტი | INA-411 | 2007 | 5850 | 500 | 50 | 20 | გალი |
| 3 | ოპელ ვექტრა | VNV- 724 | 1998 | 3600 | 350 | 40 | 20 | გალი |
| 4 | ფორდ ტრანზიტი | LIK-368 | 1995 | 5400 | 550 | 50 | 20 | გალი |
| 5 | კაზ–4540 | A 287 PO | 1999 | 900 | 90 | 20 | 10 | გალი |
| 6 | გაზ 24 | A 637 AH | 1982 | 360 | 50 | 10 | 10 | გალი |
| 7 | ოპელ ვექტრა | CAI 638 | 1990 | 1800 | 180 | 30 | 10 | გალი |
| 8 | ა/მ კოლხა სატვირთო | A 329 PO | 2000 | 3150 | 300 | 30 | 20 | გალი |
| 9 | კაზ 4360 სატვირთო | A 289 PO | 1998 | 180 | 20 | 10 | 5 | გალი |

აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულებას, აუქციონში მონაწილეობის მსურველი იხდის შპს „ვარდნილჰესების კასკადის“ საბანკო ანგარიშზე. აუქციონში მონაწილეობის მსურველი განაცხადთან და „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად რეგისტრატორს წარუდგენს აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულების გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს, რის შემდეგაც ტარდება რეგისტრაციაში და იღებს აუქციონში მონაწილის ბილეთს. აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულება არ შედის სარეალიზებო ღირებულებაში და გამოქვითვას არ ექვემდებარება.

თანხის („ბე“-ს, აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასურის) გადახდის საბანკო რეკვიზიტებია:
შპს „ვარდნილჰესების კასკადი“, ს/კ 251716362
სს „თიბისი ბანკი“ კოდი TBCBGE22; ანგ. № GE50TB7808236030100001

განაცხადების მიღების ადგილია ქ. ზუგდიდი რუსთაველის № 90, მეორე სართული, შ.პ.ს. „ენგურჰესის“ ოფისი. განაცხადების მიღების ვადაა **2015 წლის 5 აგვისტოს 10 სთ-დან 2015 წლის 12 აგვისტოს 13 სთ-მდე,** ყოველდღე, სამუშაო საათებში.

აუქციონი ჩატარდება **2015 წლის 12 აგვისტოს 14 საათზე,** მითითებულ მისამართზე.

აუქციონში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ვადაში გააფორმოს შპს „ვარდნილჰესთან“ შესაბამისი ხელშეკრულება და აუქციონის შედეგების ოქმის დამტკიცების მომენტიდან, 30 კალენდარული დღის განმავლობაში, დაფაროს მის მიერ აუქციონზე დასახელებული ქონების საბოლოო გამოსასყიდი თანხა. წინააღმდეგ შემთხვევაში, აუქციონის შედეგები გაუქმდება, მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და „ბე“-ს შენატანი არ დაუბრუნდება. აუქციონში მისაღებად რეგისტრატორს უნდად წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

— დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, (შეგიძლიათ მიიღოთ ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 90, მეორე სართული შპს „ენგურჰესის“ ოფისი);
— „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
— აუქციონში მონაწილეობის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი; ფიზიკური პირის შემთხვევაში პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;
იურიდიული პირისათვის - ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
— სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა, თუ აუქციონში მონაწილეობს სხვა პირის სახელით.

სააუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს. აუქციონში გამარჯვების გამოვლენის კრიტერიუმია საწყისს გასაყიდ ფასზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა.

სარეალიზაციო ქონების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მისამართზე: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 90, მეორე სართული, შპს „ენგურჰესის“ ოფისი, ტელ. 577 736952; 577 434493. 595 227050

**შპს „ვარდნილჰესების კასკადის“
აუქციონის მოამწყობი კომისია**

◎ ეს პრესტიჟია საქართველოსი!

# ღირსეულთა ნადავლი

**უკვე გაუწყეთ, რომ ძიუდოისტთა შთამბეჭდავი გამოსვლის შედეგად საქართველოს სპორტულმა დელეგაციამ თბილისში დამთავრებულ ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალში მოპოვებული 10 მედლით ფრიად საპატიო მე-10 ადგილი დაიკავა და ესპანურ მურსიაში 2001 წელს ნაჩვენები საუკეთესო შედეგი გაიმეორა, თანაც ისეთ გრანდებს გაუსწრო, როგორიც გერმანია და უკრაინაა.**

ვითვალისწინებთ რა გულშემატკივართა ინტერესს, გთავაზობთ ღირსეულად დასრულებული ფორუმის მედალოსანთა სრულ ნუსხას.

| ქვეყანა | ო. | ვ. | ბ. | სულ |
|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 17 | 9 | 11 | 37 |
| იტალია | 12 | 2 | 10 | 24 |
| საფრანგეთი | 9 | 5 | 8 | 22 |
| უნგრეთი | 9 | 3 | 11 | 23 |
| სლოვენია | 5 | 6 | 5 | 16 |
| მოლდოვა | 5 | 2 | 0 | 7 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| დიდი ბრიტანეთი | 4 | 8 | 8 | 20 |
| ესპანეთი | 4 | 7 | 6 | 17 |
| ჰოლანდია | 4 | 3 | 8 | 15 |
| საქართველო | 4 | 0 | 6 | 10 |
| გერმანია | 3 | 8 | 6 | 17 |
| უკრაინა | 3 | 7 | 1 | 11 |
| რუმინეთი | 3 | 5 | 2 | 10 |
| ბელარუსი | 3 | 0 | 4 | 7 |
| ბელგია | 2 | 6 | 5 | 13 |
| ირლანდია | 2 | 6 | 2 | 10 |
| სერბეთი | 2 | 4 | 3 | 9 |
| შვეიცარია | 2 | 3 | 2 | 7 |
| ფინეთი | 2 | 3 | 1 | 6 |
| შვედეთი | 2 | 3 | 0 | 5 |
| ჩეხეთი | 2 | 2 | 3 | 7 |
| აზერბაიჯანი | 2 | 1 | 2 | 5 |
| ნორვეგია | 2 | 0 | 4 | 6 |
| ავსტრია | 2 | 0 | 1 | 3 |
| პოლონეთი | 1 | 3 | 5 | 9 |
| თურქეთი | 1 | 2 | 3 | 6 |
| ბულგარეთი | 1 | 2 | 0 | 3 |
| დანია | 1 | 2 | 0 | 3 |
| ხორვატეთი | 1 | 0 | 3 | 4 |
| ესტონეთი | 1 | 0 | 0 | 1 |
| ბოსნია | 1 | 0 | 0 | 1 |
| ისრაელი | 0 | 5 | 0 | 5 |
| ლატვია | 0 | 3 | 0 | 3 |
| სლოვაკეთი | 0 | 2 | 2 | 4 |
| კვიპროსი | 0 | 1 | 1 | 2 |
| მონტენეგრო | 0 | 1 | 0 | 1 |
| საბერძნეთი | 0 | 0 | 2 | 2 |

◎ ძიუდო

# რვა მედალი და გუნდური მესამე

**1 ოქროს, 3 ვერცხლისა და 4 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს ბერლინში საქართველოს ახალგაზრდა ძიუდოისტებმა. გერმანიის დედაქალაქმა ახალგაზრდების ევროპის თასს უმასპინძლა.** მოხვეჭილი ნადავლით ჩვენები გუნდურ მესამე ადგილზე გავიდნენ. პირველი ადგილი ლევან გუგავამ (81) დაიკავა. მხოლოდ გადამწყვეტი პაექრობები დათმეს და ვერცხლის მედლებით დაკმაყოფილდნენ თამაზ კირაკოზაშვილი (73), დავით რამაზაშვილი (90) და გურამ თუშიშვილი (+100), ხოლო გიორგი გუგულაშვილს, ბექა შავდათუაშვილს (ორივე – 66), გიორგი კაციაშვილსა (73) და გიგა გელაშვილს (+100) „ბრინჯაოები“ ერგოთ.

**თამაზ პატარაია**

◎ მშვილდოსნობა

# ბრინჯაოს ვერ შესწვდნენ

**დანიაში დამთავრდა მშვილდოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატი. შერეულ წყვილებში მესამე ადგილისთვის ხათუნა ნარიმანიძე და ლაშა ფხაკაძე იბრძოდნენ.** ჩვენებმა უკრაინა (6:2) და იტალია (6:0) კი დაამარცხეს, მაგრამ ნახევარფინალი ტაივანთან დათმეს (0:6). ბრინჯაოს მედლისთვის ქართველები ჩინელებს დაუპირისპირდნენ. პირველი სეტი 37:35 მოიგეს, მეორე ფრედ დაამთავრეს 35:35, ბოლო ორი ხელი კი აზიელებისა იყო – 38:34, 36:31 და მესამე ადგილიც მათ დაიკავეს. ჩვენები მე-4 ადგილით დაკმაყოფილდნენ. პირად ჩათვლაში ნარიმანიძე მეექვსე იყო, ქრისტინე ესებუას კი მე-9 ადგილი ხვდა. რაც მთავარია, საქართველოს მშვილდოსან ქალთა ნაკრებმა რიო 2015-ის საგზური დაიმსახურა.

შერეულ წყვილთა პაექრობა ჩინელებმა – ბო ბაე კიმ და ბონ-ჩან კუმ მოიგეს, ხოლო ერთეულთა ფინალში კორეელმა კიმ ტა-ივანელ ში-ჩია ლინს აჯობა. ვაჟებშიც კორეელი გახდა ჩემპიონი – ვოოჯინ კიმმა ჰოლანდიელ რიკ ვან დერ ვენს სძლია. ქალთა შორის მსოფლიოს გუნდური ჩემპიონობა რუსებმა მოიპოვეს. ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობლებმა გადამწყვეტ პაექრობაში ინდოელები დაჯაბნეს, მანამდე კი კორეელები ჩამოაშორეს „ოქროსკენ“ მიმავალ გზას. სამაგიეროდ, კორეელი ვაჟები იტალიელთა ძლევით ავიდნენ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე.

**გივი გაგუა**

◎ ძალოსნობა

# სომხების გარემოცვაში

**შვედურ ლანდსკრონაში 15 და 17 წლის ძალოსანთა ევროპის პირველობაში 14 წლის არჩილ მალაყმაძემ 56 კილოგრამ წონით კატეგორიაში 93 კილოგრამი აიტაცა და ამ მოძრაობაში ვერცხლის მედალი მოიპოვა.** ოქრო 94 კილოგრამით სომეხ არმენ გრიგორიანს ერგო, ბრინჯაო – მის თანამემამულე რაფინ არუთიუნიანს (87 კგ). აკვრაში სომხებმა იყოჩაღეს – 117 კილო დაძლიეს. ქართველმა ძალოსანმა, რომელიც მეტოქეებზე ერთი წლით უმცროსია, 110-კილოგრამიანი შტანგა დაიმორჩილა და აკვრასა და ორჭიდში (203 კგ) მესამე ადგილები დაიკავა. „ოქრო-ვერცხლი“, შესაბამისად, გრიგორიანმა (211 კგ) და არუთიუნიანმა (204) გაიყვეს.

**ლაშა დიდია**

◎ ლეგიონერი

# ვიქტორ სანიკიძე თურქულ კლუბში ითამაშებს

sportando.com-ის ცნობით, **საქართველოს ეროვნული ნაკრების კალათბურთელი ვიქტორ სანიკიძე თურქულ „ანკარა კოლეჯლილერში“ გადავიდა. აღნიშნულ ინფორმაციას თურქული კლუბი თავისი ოფიციალური ტვიტერის გვერდზეც ადასტურებს. ტრანსფერის დეტალები ჯერჯერობით უცნობია.**

2014-15 წლების სეზონში „კოლეჯლილერმა“ თურქეთის 16-გუნდიან ჩემპიონატში მე-14 ადგილი დაიკავა და უმაღლეს ლიგაში ადგილი ძლივს შეინარჩუნა.

შეგახსენებთ, რომ სანიკიძე განვლილ სეზონში რუსული „უნიქსის“ ღირსებას იცავდა. იგი „ვთბ“ ლიგაში საშუალოდ ერთ მატჩში 4.5 ქულას, 4 მოხსნას და ერთ ბლოკშოთს აგროვებდა.

**ვიტალი ჯაფარიძე**

◎ რაც დავთესეთ...

# უეფამ თბილისის „დინამო“ დასაჯა

**უეფას სადისციპლინო კომიტეტმა ევროპა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე თბილისში ადგილობრივ „დინამოსა“ და აზერბაიჯანის „გაბალას“ მატჩის დროს მომხდარი ინციდენტების გამო ქართული კლუბი დასაჯა.**

უეფას ვებგვერდი იუწყება, რომ შეხვედრის მსვლელობისას იყო რასისტული გამოხდომები, უკანონო ბანერის გამოფენისა და მინდორზე გულშემატკივრების შესვლის ფაქტები.

ამის გამო „დინამო“ 20000 ევროს გადაიხდის, ხოლო ჩრდილოეთ ტრიბუნის მე-16 სექტორი, სადაც „დინამოს“ ფანი „გლადიატორები“ სხედან, უეფას ეგიდით ჩატარებულ ერთ მატჩში ცარიელი იქნება.

**გიორგი ზოთაძე**

◎ ინტერნეტიდან

# ლარისა რიკელმემ ევროპული ვიზაჟი დაგეგმა

**დაე, შეკრთნენ მოქალაქენი პარიზისა და მოქალაქენი ამსტერდამისა, დაე განიხვნენ ქუჩები რომისა და მადრიდისა. დაე იქმნას სიხარული ფრიადი, რადგან ბებერ ევროპის კონტინენტზე მოგზაურობა თვით დიად ლარისა რიკელმეს გადაუწყვეტია და ეს ისეთი ამბავია, როდესაც ამის აღსანიშნავად მარნიდან ღვინო უნდა ამოვიტანოთ.**

პარაგვაის საფეხბურთო ნაკრების თილისმად სახელდებული ძუძუდიადი ლარისა რიკელმე, მართალია, ევროპას ხშირად სტუმრობს და ფოტოკამერების წინ გადაპლაკვა არც ევროპაში ეზარება, მაგრამ, როგორც თავად ამბობს, ევროპის ტურისტული თვალით განჭვრეტის სურვილითაა შეპყრობილი და ამ მიზანს სულ მალე განახორციელებს.

რაც დრო გადის, ლარისა რიკელმეც თანდათან ხვდება ამა ქვეყნის სიამეთა ჭეშმარიტ აზრს და, ალბათ, იმ დასკვნამდეც მივიდა, რომ უაზროდ ტინგიცზე საინტერესო და შემაკრთობელი თუნდაც ლონდონის მრავლისმნახველი ქუჩების დათვალიერებაა. ევროპაში საინტერესო და გულისმისავალ ადგილებს რა დალევს...

**როსტომ რაჭველიშვილი**

◎ რაგბი

# წვრთნას პოლონეთში განაგრძობენ

**საქართველოს მორაგბეთა ნაკრები მონდომებით ემზადება მსოფლიოს თასისთვის, რომელიც 19 სექტემბერს დაიწყება. „ბორჯღალოსნები“ ბოლო საწვრთნელი შეკრების გასავლელად დღეს პოლონეთს მიაშურებენ.** ჩვენი გუნდი (**პირველი ხაზი:** მიხეილ ნარიაშვილი („მონპელიე“), ვასილ კაკოვინი („ტულუზი“), ზურაბ ჟვანია („სტად ფრანსე“), კარლენ ასეიშვილი („ბრივი“), სიმონ მაისურაძე („ვალანსი“), შალვა მამუკაშვილი („სეილ შარქსი“), ჯაბა ბრეგვაძე („ყოჩები“), დავით ზირაქაშვილი („კლერმონი“), დავით ქუბრიაშვილი („სტად ფრანსე“), ლევან ჩილაჩავა („ტულონი“), **მეორე ხაზი:** გიორგი ჩხაიძე („ლილი“), გიორგი ნემსაძე („ტარბი“), კონსტანტინე მიქაუტაძე („ტულონი“), ვახტანგ მაისურაძე („ალბი“), ოთარ გიორგაძე („აია“). **მესამე ხაზი:** მამუკა გორგოძე („ტულონი“), შალვა სუთიაშვილი („მასი“), ვიტო კოლელიშვილი („კლერმონი“), გიორგი თხილაიშვილი („ბათუმი“), საბა შუბითიძე („აკადემია“), ბექა გორგაძე („მონ დე მარსანი„), დიმიტრი ბასილაია („პერპინიანი“), ბექა ბიწაძე („ლოკომოტივი“), ლაშა ლომიძე („ბეზიე“). №9: გიორგი ბეგაძე („ყოჩები“), ვაჟა ხუციშვილი („ხარები“), ვასილ ლობჟანიძე („არმაზი“). №10: ლაშა ხმალაძე („ლელო“), ლაშა მალაღურაძე („ბაგნერე“). №12-13: დავით კაჭარავა („ენისეი“), მერაბ შარიქაძე („ორიაკი“), გიორგი ტალახაძე („ლელო“). №11-14: ალექსანდრე თოდუა („ლელო“), თამაზ მჭედლიძე („აჟენი“), მურაზ გიორგაძე („არმაზი“), გიორგი ფრუიძე („აია“). №15: მერაბ კვირიკაშვილი („მონლუსონი“), ბექა წიკლაური („ლოკომოტივი“), გიორგი აფციაური („აია“), ირაკლი სვანიძე („ჯიქი“), **მთავარი მწვრთნელი** მილტონ ჰეიგი) მსოფლიოს თასის გათამაშების დაწყებამდე სამ საკონტროლო მატჩს გამართავს: 28 აგვისტოს „ნიუკასლთან“, 2 სექტემბერს კანადის, სამი დღის შემდეგ კი იაპონიის ეროვნულ გუნდებთან.

საქართველოს ნაკრების მსოფლიოს თასის გათამაშების განრიგი ასეთია:
**19 სექტემბერი.** საქართველო-ტონგა,
**25 სექტემბერი.** საქართველო-არგენტინა,
**2 ოქტომბერი.** საქართველო-ახალი ზელანდია,
**7 ოქტომბერი.** საქართველო-ნამიბია.

**ლექსო ცინცაძე**

# „რუსთავი-2“ ქუთაისსა და ქუთაისელებს გადაემტერა

**ქუთაისის მერია ტელეკომპანია „რუსთავი-2-ის“ გადაცემა „კურიერში“ გასულ მასალას ეხმაურება, სადაც ქუთაისში გამართულ სატრანსპორტო კონკურსზე იყო საუბარი. ამასთან დაკავშირებით ქუთაისის მერია განცხადებას ავრცელებს.**

„ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის მიერ ქუთაისში ჩატარებული სატრანსპორტო ხაზების კონკურსის შესახებ არასწორი ინფორმაცია გავრცელდა. გასაგებია, რომ ტელეკომპანია ნაწყენია ქალაქის თვითმმართველობაზე, რადგან ჩვენ ვთხოვეთ „რუსთავი-2“-ს, გაეკეთებინა განმარტება, თუ რატომ არ ჩაატარა 24-25 ივლისს კონცერტი ქუთაისში, ბალახვნის მოედანზე. ამის შესახებ დაპირება ტელეკომპანიის გენერალურმა დირექტორმა 17 ივლისს 9-საათიან კურიერში გააკეთა.



კონკრეტულად რა სიცრუეს შეიცავდა ტრანსპორტის კონკურსის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია:

სიუჟეტის დასაწყისშივე დაშვებული იქნა სერიოზული შეცდომა, რომ თითქოს კომპანიამ გამარჯვების შემდეგ შეიძინა ავტოსატრანსპორტო საშუალებები. განვმარტავთ, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესახებ დოკუმენტაციის დალუქულ კონვერტში მოთავსების გარეშე ნებართვის მაძიებელი აღარ დაიშვება შეფასებაზე. ამასთანავე გაჟღერდა სიცრუე, თითქოს შპს „გადამზიდავმა“ 6 ახალი ავტომობილი შეიძინა (სიუჟეტის ავტორის კომენტარი).შპს „გადამზიდავმა“ მხოლოდ 2 ახალი ავტომობილის მონაცემი წარმოადგინა.

წილების გადანაწილება – „რუსთავი 2“-ის წამყვანის მიერ გაკეთებული შეფასება, რომ წილების გადანაწილება გრძელდება, არის ცილისწამება და ასევე ლოგიკას მოკლებული შეფასება, რადგან მათ მიერ გაშუქებულ სატრანსპორტო ხაზზე (№38)გამოცხადებული ტენდერი ჩაიშალა, ანუ გამარჯვებული არ გამოვლინდა. მეტი გამჭრიახობაა საჭირო იმის მისახვედრად, რომ წილების გადანაწილება გამარჯვებულთან არის შესაძლებელი.

№50 სამარშრუტო ხაზზე გამოცხადებულ კონკურსში შპს „გადამზიდავმა“ კონკურენტთან წააგო – აღნიშნული ინფორმაცია არის ტყუილი. შპს „გადამზიდავი“ კონკურსიდან მოიხსნა გაყალბებული დოკუმენტის წარმოდგენის გამო.

ავტომობილების შემოწმების დროს დაფიქსირდა ხარვეზები, კონკრეტულად ერთ-ერთ ავტომობილს საქარე მინა ჰქონდა დაზიანებული, მეორეს სავარძლებს შორის დაშორება ჰქონდა დარღვეული. ქუთაისში მოქმედი წესის მიხედვით აღნიშნული ითვლება დარღვევად და კომისიას შეეძლო მოეხსნა შეფასებიდან შპს „გადამზიდავი“, მიუხედავად ამისა, ხარვეზების აღმოსაფხვრელად მას ერთკვირიანი ვადა მიეცა.

ავტომობილების და მძღოლების შემოწმებასთან ერთად აუცილებელია ბაზის შემოწმება, სადაც მოხდება ავტომობილისა და მძღოლის წინასარეისო შემოწმება. 7 ივლისს შპს „გადამზიდავის“ მიერ მითითებული ბაზა ვერცერთ ნორმას ვერ აკმაყოფილებდა: არ იყო მოწყობილი სამედიცინო პუნქტი, წინასარეისო გამშვები პუნქტი; ავტომობილების სამრეცხაო. მიუხედავად ამისა, კომისიამ შპს „გადამზიდავს“ ერთკვირიანი ვადა მისცა.

ქალაქის მერია და საკონკურსო კომისია აცხადებენ, რომ არავის მისცემს გამჭვირვალე პროცესის დისკრედიტაციის უფლებას“, – ნათქვამია ქუთაისის მერიის განცხადებაში.

# ცვლილება განცხადებაში

**გაზეთის 2015 წლის 4 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებულ განცხადებაში „მოწვევა ტენდერზე“, რომელიც ეხება ირიგაციისა და მიწის ბაზრის განვითარების პროექტის ფარგლებში გამოცხადებულ შემდეგ ტენდერს:**

საქართველო
ირიგაციისა და მიწის ბაზრის განვითარების პროექტი
კრედიტი № 5456-GE
კონტრაქტის დასახელება:
ლოტი 1 – ქარელის მუნიციპალიტეტში ზედა რუს საირიგაციო სისტემის მაგისტრალური არხის სარეაბილიტაციო სამუშაოები № IDIC/CW/ICB/01-L1
ლოტი 2 – საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ქვემო სამგორის საირიგაციო სისტემის მარჯვენა მაგისტრალური არხისა და სათავე ნაგებობის ელექტრო და მექანიკური ნაწილების რეაბილიტაცია - № IDIC/CW/ICB/01-L2,
ლოტი 3 – ტბისი-კუმისის მაგისტრალური არხის, ჰიდროტექნიკური ნაგებობების, ხაიშის და მარაბდას მასივების მილსადენის რეაბილიტაცია, ალგეთის წყალსაცავის კაშხლის ინსტრუმენტალური მონიტორინგის სისტემის რეაბილიტაცია № IDIC/CW/ICB/01-L3

საბანკო რეკვიზიტები იცვლება შემდეგი რედაქციით:
For GEL transfer:
State Treasury Service of Georgia
SWIFT CODE: TRESGE22
Beneficiary: Ministry of Agriculture of Georgia
Treasury Code: 302004400
Sub-Code: 4411

**განცხადებაში მითითებული დანარჩენი მონაცემები უცვლელი რჩება.**

**ვიტალი ხაზარაძე, დემურ გადელია, მელორ ტყეშელაშვილი, პეტრე ბერაია, თენგიზ კალანდაძე სამძიმარს უცხადებენ მეგობარსა და კოლეგას ბატონ ივერი ჭელიძეს ბიძაშვილის, სსრკ სპორტის ოსტატის, სვანური საჭიდაო სკოლის ღირსეული წარმომადგენლის, შესანიშნავი ადამიანის**

**ლევან ჯაფარიძის**

**გარდაცვალების გამო.**

## ◎ ინფორმაცია

### ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენზე მომხდარ აფეთქებას საქართველოს გაზმომარაგებაზე გავლენა არა აქვს

**ბაქო-თბილისი-ერზრუმის** გაზსადენზე აფეთქება მოხდა. აზერბაიჯანული გამოცემა აპა.აზ-ის ცნობით, აფეთქება თურქეთში, ყარსში ტყის ტერიტორიაზე მოხდა.

აფეთქებამ ხანძარი გამოიწვია, თუმცა, ცეცხლის ლოკალიზება მალევე მოხერხდა. ინციდენტის მიზეზები ჯერ უცნობია, როგორც ყარსის გუბერნატორი გუნაი ოზდემირი აცხადებს, მომხდარის შესახებ დაწყებულია გამოძიება.

ინციდენტის გამო რეგიონში გაზის მიწოდება შეფერხებულია. ადგილობრივების თქმით, აფეთქების ხმა 20 კილომეტრის რადიუსში გაიგონეს. დაწყებულია აღდგენითი სამუშაოები.

ამის შესახებ ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ მარიამ ვალიშვილმა განცხადება გააკეთა.

„ეს მოხდა თურქეთის ტერიტორიაზე, ყარსის პროვინციაში და ჩვენს შემთხვევაში მილსადენის ოპერირებაზე გავლენა ნამდვილად არა აქვს. გარდა ამისა, ამ დღეების განმავლობაში თვითონ მილსადენი ცარიელი იყო, რადგან დაგეგმილი სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობდა და, შესაბამისად, ამ მომენტისთვის მილსადენი გაზმომარაგებას არ უზრუნველყოფდა. ასე რომ, არც ერთ ნაწილში ჩვენ ეს საფრთხეს რა გვიქმნის“, – განაცხადა ვალიშვილმა.

მისივე თქმით, სარეაბილიტაციო სამუშაოები 22 აგვისტომდე გრძელდება.

„ჩვენ აგვისტოს თვეს ვიყენებთ ამ სამუშაოებისთვის. 23 აგვისტოდან ისევ შაჰ დენიზი დაიტვირთება. დარწმუნებული ვარ, რომ იმ მომენტისთვის ავარიაც აღდგენილი იქნება და თვის ბოლოსთვის უკვე ყველა მილსადენი მწყობრში იქნება გეგმური სამუშაოების გრაფიკის შესაბამისად“, – განაცხადა ვალიშვილმა.

### ბორჯომში ისევ ხანძარია

**ბორჯომში,** საბაგიროს მიმდებარე ტერიტორიაზე ხანძარი გაჩნდა. ცეცხლი საბაგიროს ზედა სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე ხეებს ეკიდა.

ხანძარი დაახლოებით 100 კვადრატულ მეტრამდე ფართობზე იყო მოდებული. ადგილზე სახანძრო სამაშველო ბრიგადები მუშაობდნენ.

ხანძრის გამომწვევ მიზეზად ადგილობრივები ძლიერ სიცხეს ასახელებენ.

ბორჯომის ტყეში ხანძარი რამდენი დღის წინაც გაჩნდა.

## ◎ რას გვაუწყებს ჩვენი სახე?

# სნეულების იერი

**ხშირად** გვსმენია გამოთქმა – ამ კაცს მეტყველი სახე აქვსო, თუმცა, ბევრმა შეიძლება არ იცოდეს, რომ ეს მარტო ხატოვანი ფრაზა არ არის. დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ალტერნატიული მეთოდების გამომყენებელი სპეციალისტებისთვის ჩვენი სახე ის რუკაა, რომელზეც ისინი ამჟამინდელ და მომავალ სნეულებებს კითხულობენ.

ამასთან, ყველაზე მეტი ინფორმაციის შემცველად მედიკოსებს მიაჩნიათ:

### თვალები

**თვალის** ფერადი გარსი (ირისი), რომელიც ჩვენი ორგანიზმის შინაგანი მდგომარეობის ობიექტური ანარეკლია, მისი შესწავლის მეთოდს კი ირიდოდიაგნოსტიკა ეწოდება. კომპიუტერული გამოკვლევისას ფერადი გარსი თორმეტ სექტორად იყოფა, რომელთაგან თითოეული ორგანიზმის გარკვეულ უბანს შეესატყვისება. პიგმენტური ლაქის, ლაკუნის (ჩაღრმავების), ან სხვა ნიშნის გაჩენა იმას ნიშნავს, რომ იმ ორგანოში, რომლის პროექცია ფერადი გარსის მოცემულ სექტორშია, ცვლილებები აღენიშნება, მერე პაციენტის ფერადი გარსის ნიშნები სქემაზე დააქვთ, კომპიუტერული დამუშავების შემდეგ კი ტოპიკური დიაგნოზი კეთდება, რომლის შედეგად დგინდება, თუ რომელ ორგანოებში მოხდა ორგანიზმის ჯანმრთელობისთვის სახიფათო ცვლილებები.

### თმა

**თმის** სპექტრალური ანალიზით ადამიანის ორგანიზმში მინერალური მიმოცვლის თავისებურებათა შესწავლა შეიძლება. სამედიცინო ელემენტოლოგია (სამეცნიერო-პრაქტიკული მიმართულება, რომელიც ადამიანის ჯანმრთელობისთვის მაკრო-და მიკროელემენტების ბიოლოგიურ როლს შეისწავლის) კეფიდან აღებული თმის შემადგენლობის შესწავლას ეფუძნება. ანალიზებს კომპიუტერზე ამუშავებენ, რა დროსაც არკვევენ ამა თუ იმ მიკროელემენტის შემცველობის ნორმიდან გადახრას, რაც ამა თუ იმ ავადმყოფობას ნიშნავს.

### ენა

სათანადო მეთოდიკის დაუფლებულ ექიმს **ენის** მიხედვით პაციენტის ყველა სნეულების დადგენა შეუძლია. ეს მეთოდი ძველ აღმოსავლეთში წარმოიშვა და იქაური მედიცინის ცენტრებში მას ამჟამადაც წარმატებით იყენებენ. მიჩნეულია, რომ ენის წვერი გულისა და ფილტვების მდგომარეობას ასახავს, შუაში კუჭისა და ელენთის პროექციაა, გვერდებში თირკმლისა და ნაღვლის ბუშტის განშტოებები. ენის ცვლილებებით (ცალკეული უბნების ფერით, ნადებით, წყლულებით, ლაქებით, პატარა ხაზებით) შესაძლებელია როგორც არსებული, ასევე მომავალი სნეულებების შესახებ ინფორმაციის მიღება.

### ყურები

ჩვენი ორგანიზმის მდგომარეობის შესახებ ბევრი რამის გაგება **ყურის** ნიჟარითაც შეიძლება. მის არც თუ დიდ ზედაპირზე დაახლოებით 200 ბიოლოგიურად აქტიური წერტილია განთავსებული, რომელთაგან თითოეული გარკვეულ ორგანოსთანაა დაკავშირებული. აურიკულარულ მედიცინაში (რეფლექსური თერაპიის ერთ-ერთ მიმართულებაში), ყურის ნიჟარის მიხედვით დიაგნოსტიკის რამდენიმე ხერხი არსებობს: გარკვეულ უბნებში დამახასიათებელი ნიშნების (გაწითლების, გაფითრების, აქერცვლის, პიგმენტაციის, გალურჯების) მიხედვით, ასევე საგანგებო საცეცის მეშვეობით, რომლითაც გარკვეულ წერტილზე დაჭერით ტკივილის შეგრძნება იმის ნიშანია, რომ ესა თუ ის ორგანო დახმარებას საჭიროებს.

ИЗДАТЕЛЬСКИЙ ДОМ ЖУРНАЛА ЗДОРОВЬЕ

## ◎ კრიმინალი

### დააკავეს ნარკორეალიზატორი

**შს სამინისტროს** ინფორმაციით, 1986 წელს დაბადებული, წარსულში მკვლელობის მცდელობისთვის ნასამართლევი, თბილისში მცხოვრები გაიან გ. ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღების ბრალდებით, თბილისი-რუსთავის გზატკეცილზე, ფონიჭალის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა დაკავებამდე რამდენიმე დღით ადრე 0,028 გრამი ჰეროინი უკანონოდ გაასაღა.

### უბედური შემთხვევა ქობულეთში

**ქობულეთის** მუნიციპალიტეტის სოფელ შუაღელეში უბედური შემთხვევა მოხდა. მდინარე დეხვაში ბებია და შვილიშვილი დაიხრჩვნენ. როგორც ადგილობრივები ჰყვებიან, დაღუპულები ქობულეთის მკვიდრნი იყვნენ და მდინარეზე საბანაოდ იმყოფებოდნენ.

ადგილობრივების ინფორმაციით, შვილიშვილი ბანაობისას გაუჩინარდა, რის შემდეგაც ბებია მის მოსაძებნად მდინარეში შევიდა, თუმცა ორივე მათგანი დაიღუპა.

დაღუპულების ცხედრები მდინარიდან ადგილობრივებმა ამოასვენეს.

◎ ᲒᲐᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲗ!

# ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲔᲑᲘ ᲫᲕᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

**ᲘᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, რომ ძვლები მყარი გვქონდეს, თავიდან ავიცილოთ ტრავმები და მოტეხილობები, კვებაზეც უნდა ვიზრუნოთ და ისეთი პროდუქტები მივიღოთ, რომლებიც ძვლებს ამაგრებს.**

ადრე მიღებული იყო, რომ ძვლოვანი ქსოვილის სიმყარისთვის უმთავრესი კალცი იყო. თუმცა, ბოლო დროს გაირკვა, რომ მხოლოდ კალცი სულაც არ არის საკმარისი – ძვლის ზრდისა და სიმყარისთვის აუცილებელია ფოსფორი, მაგნიუმი, თუთია, ვიტამინები და მინერალური ნივთიერებები, ცილები, ცხიმმჟავები. აი, იმ პროდუქტების სია, რომლებშიც საკმარისად არის ძვლებისთვის (და არა მარტო ძვლების, არამედ მთელი ორგანიზმისთვის) სასარგებლო ნივთიერებები.

**1. ბოსტნეული (ცილის, რკინისა და კალციუმის, K, C ვიტამინების წყარო).** განსაკუთრებით სასარგებლოა მწვანეფოთლიანი ბოსტნეული – კომბოსტოს ყველა სახეობა, სალათის ფურცლები, ოხრახუში. გამონაკლისია მხოლოდ ისპანახი და წითელი მხალი. მართალია, მათში საკმარისი კალცია, თუმცა ,არის ოქსალატებიც – ნივთიერებები, რომლებსაც შეუძლიათ, ხელი შეუშალონ ამ მინერალის ორგანიზმში შეთვისებას. ასევე სასარგებლოა სტაფილო, ყაბაყი.



**2. ცილოვანი საკვები (ცხოველური წარმოშობის პროდუქტები, ბარდეული, სოია).** ცილა საკვანძო როლს თამაშობს ძვლებისთვის მოქნილობის მინიჭებაში, რაც მოტეხილობებს იცილებს თავიდან. კამათი იმაზეა, რომელი სჯობს – ცხოველური თუ მცენარეული ცხიმები. მთავარი მაინც ის არის, რომ თქვენ მიერ შერჩეული რაციონი დაბალანსებული იყოს და ერგებოდეს ორგანიზმს, პროდუქტები კი – ახალი და ორგანული.

**3. ბულიონები (მინერალების წყარო).** ბულიონზე მომზადებული კერძები განსაკუთრებით კარგია: თურმე ძვლები და ბოსტნეული (რითაც ხარშავენ ხოლმე ძირითადად ბულიონს) დიდი რაოდენობის მინერალებს შეიცავს.

**4. მარცვლეული (მაგნიუმის წყარო).** განსაკუთრებით კარგია წიწიბურა, ყავისფერი ბრინჯი, ხორბალი, შვრია – ისინი რთული ნახშირწყლების, უჯრედისების და B ჯგუფის ვიტამინების წყაროა.

**5. მიკროელემენტებით მდიდარი პროდუქტები** – წყალმცენარეები, რომლებიც აღმოსავლურ სამზარეულოში განსაკუთრებულად აქტიურად გამოიყენება. ისინი ძვლებს ოსტეოპოროზისგან იცავენ. ასევე მიკროელემენტებით მდიდარია თხილეული.

**6. ძვლები** – ზოგიერთ ადამიანს მოხარშული ძვლების (განსაკუთრებით, ქათმის) ღრღნა უყვარს. თურმე, ეს ცუდი ჩვევა არ არის. ძვლები ბუნებრივი მინერალების კარგი წყაროა ადამიანის ძვლოვანი ქსოვილისთვის.

**7. ჯანსაღი ცხიმები (K და D ვიტამინების წყარო).** რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, ცხიმებს დიდი მნიშვნელობა აქვს ძვლების ჯანმრთელობისთვის. ნორმაში ყველაფერუ სჭირდება ადამიანს, მათ შორის, ცხიმებიც. მაგალითად, წამყვანი დიეტოლოგების თქმით, საშუალოდ 50 წლის ასაკის შემდეგ ქალებმა დღეში დაახლოებით 65 გრამი ცხიმი უნდა მიიღონ. ეს არის ხორცი, რძის პროდუქტები, მცენარეული ზეთი.

mshoblebi.ge

◎ ᲓᲐᲘᲛᲐᲮᲡᲝᲕᲠᲔᲗ!

## ᲬᲧᲚᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔᲯᲔᲠ ᲐᲓᲣᲦᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ!

**ᲐᲚᲑᲐᲗ, ᲮᲨᲘᲠᲐᲓ გᲥᲝᲜᲘᲐᲗ სიტუაცია, როცა ქურაზე დადგით ჩაიდანი, მოამზადეთ ჭიქები, ჩაის ან ყავის დასალევად და რაღაც მიზეზის გამო მდუღარე წყალი ჭიქაში არ ჩაასხით: დაგიძახათ ბავშვმა, გაერთეთ საყვარელი სერიალით, დარეკა ტელეფონმა ან თუნდაც გადაიფიქრეთ დალევა.** როდესაც სამზარეულოში დაბრუნდით, წყალი უკვე შეგრილებული დაგხვდათ და საჭირო გახდა მისი თავიდან გაცხელება. სწორედ აქ ვუშვებთ შეცდომას. რატომ? ადუღების შემდეგ წყალი იცვლის შემადგენლობას: როდესაც წყალი ერთხელ დუღდება, იქიდან მავნე ნივთიერებები ორთქლდება და მისი დალევა არ წარმოადგენს საფრთხეს ორგანიზმისთვის. როდესაც ხდება წყლის განმეორებითი გაცხელება-ადუღება, კვლავ იცვლება მისი შემადგენლობა და ადამიანის ჯანმრთელობისთვის საშიში ხდება.

**1. დარიშხანი** – მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაცია ირწმუნება, რომ „დარიშხანის შემცველობა სასმელ წყალში დიდ საფრთხეს უქმნის მოსახლეობის ჯანმრთელობას“. ორგანიზმში მისი თანდათანობითი დაგროვებით ზიანდება კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, გულ-სისხლძარღვთა სისტემა, თირკმლის ფუნქცია, შეიძლება განვითარდეს დიაბეტი და სიმსივნეც კი.

**2. ნიტრატები** – ნიტრატები გვხვდება არა მარტო ნიადაგში, არამედ წყალსა და ჰაერშიც კი. როდესაც წყალი აღწევს მაღალ ტემპერატურებს (ანუ რამდენჯერმე), ნიტრატები გარდაიქმნება კარცენოგენურ ნიტროზამინებად, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საკვერცხის, სწორი ნაწლავის, შარდის ბუშტის, კუჭქვეშა ჯირკვლის და კუჭის სიმსივნეები.

**3. ფტორი** – ერთ-ერთ სამეცნიერო-სამედიცინო ჟურნალში გამოქვეყნებული იყო კვლევის შედეგები. აღმოჩნდა, რომ ფტორიდის შემცველობა სასმელ წყალში იწვევს ბავშვებში IQ-ს დაქვეითებას.

მოუყევით მეგობრებს ამ საფრთხის შესახებ და თავადაც ამის მერე, სანამ ჩაიდანს დადგამთ და კომპიუტერს მიუჯდებით, ჯერ მაინც ჩამოასხით წყალი ფინჯანში და მხოლოდ მერე ჩაეფალით ვირტუალურ სამყაროში.

mshoblebi.ge

ᲞᲐᲪᲘᲔᲜᲢᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!

ეს არ არის **რეკლამა!** სამედიცინო რეკლამა მისი უხეირობის ნიშანია. ეს მხოლოდ **ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐᲐ...**

პროფესორი არჩილ ხომასურიძე თავის გუნდთან ერთად აგრძელებს იოსებ ჟორდანიას დაწყებულ საქმეს ახალ „რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში“, თბილისი, 0112, თევდორე მღვდლის 13. ტელ: (995 32)224 00 99, 224 00 98.

ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ!

ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ დიდ დიღომში „იმედის“ კლინიკის სიახლოვეს მდებარე 1400 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალურად არის შემოღობილი და განაშენიანებული სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგაობით. დატოვებულია ადგილი როგორც საცხოვრებელი სახლისთვის, ისე საცურაო აუზისა და სასპორტო მოედნისთვის. ნაკვეთთან მიყვანილია გაზი, დენი, კანალიზაცია, წყალი შეყვანილია. ფასი შეთანხმებით. **ᲢᲔᲚ:** 599 168 171; 598 51 81 35.

ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲐ

293-37-87;
568 82-09-84.

ᲛᲐᲩᲐᲑᲚᲘᲡ Ქ. №7.

◎ ᲙᲐᲓᲠᲘ

◎ ᲪᲘᲜᲪᲮᲐᲚᲘ ᲐᲜᲔᲙᲓᲝᲢᲔᲑᲘ

**ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ** ცოლთან ვცხოვრობდი, მუდამ ვფიქრობდი, სად მიაქვს ფული-მეთქი.

განვქორწინდით. ერთი თვეა, მარტო ვცხოვრობ. ახლა ვფიქრობ, საიდან ჰქონდა მას ფული?

* * *

**ᲛᲔ** 15 წლის ასაკიდან მთელი ცხოვრება ვეწეოდი და მოვკვდი ვადამდე მეოთხედი საუკუნით ადრე.

* * *

**ᲓᲐᲘᲮᲡᲝᲛᲔ** და შეასწავლე შენს შვილებსაც: ადამიანები შექმნილნი არიან სიყვარულისთვის, ნივთები კი – გამოსაყენებლად. ნუ შეუცვლით ამ ცნებებს ადგილს.

* * *

**– ᲙᲐᲠᲒᲘ,** მაპატიე, – ამბობს ცოლი, – ზომაზე მეტად გავცხარდი... ვის არ მოსდის შეცდომები... ყველაფერი გამოსწორდება... აი, ქირურგი ყველაფერს თავის ადგილას მიაკერებს!

* * *

**ᲙᲐᲠᲒ** ცოლებს კაცები შორდებიან, უკეთესს ვიპოვითო, ცუდისგან კი არ მიდიან – ეშინიათ, უარესი არ შეგვხვდესო!

ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ᲛᲐᲩᲐᲑᲚᲘᲡ Ქ. №7
ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ 66434

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲔᲑᲘ:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორის მაგიერ
ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙ ᲫᲝᲒᲣᲚᲘᲐ
293-37-87;
599 36-00-35

რედაქტორთა საბჭო:
ᲐᲚᲔᲥᲝ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ 599 56-81-86;
ᲒᲣᲠᲐᲛ ᲒᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ 599 53-76-16;
ᲠᲣᲡᲚᲐᲜ ᲠᲣᲡᲘᲐ 599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ